ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო
პერიოდული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne
„IVERIA"

Directeur E. PATARIDZE. სარედაქციო კოლეგია.

მარტი **№ 3** MARS

შინაარსი:

1. ბოლშევიზმი იარაღ ასხმული მსოფლიოს წინაშე ..... ალ. ასათიანი
2. ჩვენი პოზიცია და ეროვნული ერთობა ელ. პატარიძე
3. ეროვნული ცენტრის დეკლარაცია
4. „კომუნისტი"-ს ქართული ენა და შინაარსი ..... რ. ინგილო
5. მარქსისტული სოციალიზმი და მოდერნული ტირანია ..... ვ. შუბლაძე
6. ბოლოს დასაწყისი ..... ვ. ნა-ლი
7. კოტე აფხაზის სისხლი თურქმე თეთრი ყოფილა (პასუხი ბ. გრ. ურატაძეს)
8. ოპოზიციონერთა კრება ..... დამსწრე.
9. მისალმებანი ეროვნულ ცენტრს
10. სხვა და სხვა ამბები

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.
LE PARTI NATIONAL DEMOCRATE GEORGIEN

პარიზი — PARIS
1951

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო
პერიოდული გამოცემა

მარტი 1951 **№ 3** MARS 1951

ბოლშევიზმი იარაღასხმული მსოფლიოს წინაშე

ამიერიდან განხორციელებულია კაცობრიობის დაყოფა ორ შეურიგებელ ბანაკად. იშვიათად თუ კიდევ სწამს ვინმეს მათშორის ზავის დამყარების შესაძლებლობა. უკანასკნელი ომის მთავარსარდალნი, მაკარტური და აიზენჰოვერი დაუბრუნდნენ თავის პოსტებს, და დემოკრატიული ქვეყნები დიდი ინტენსივობით აძლიერებენ თავის სამხედრო პოტენციას. ასე დასრულდა პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ეპოქა, მილიტარიზმის სრული აღმოფხვრის და სამუდამო ზავის იდეებით რომ იყო შეპყრობილი, ეს ნაციათა ლიგის, კელოგის პაქტის და ონუს ინტერგრალური პაციფიზმი. ულმობელმა სინამდვილემ დაანახვა მსოფლიოს დემოკრატიის მეთაურებს, რომ მილიტარიზმის ძალზედ დასუსტება მშვიდობიანობას კი არ ამკვიდრებს, პირიქით გზას უხსნის მუდმივ შფოთსა და არევ-დარევას, რევოლიუციებს და ყოველგვარ ომებს. დღეს ისინი უკვე ამ მილიტარულ ძალთა გაძლიერებისათვის იღწვიან. საერთო განიარაღებისა და მუდმივი ზავის დამყარებისათვის შექმნილი ონუ დღეს თვითონ აწარმოებს ამ მილიტარულ ომს. ამავე დროს, ომის შემდეგ, ხუთი წლის მანძილზე გაცილებით მეტი კონგრესი და კონფერენცია მოეწყო, ვიდრე ორი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში, ყველა მისი ომების შემდეგ, და ეს ზავის ჩამოდგების საქმე ოდნავად არ წაწეულა წინ. ყველა ეს, და მრავალი სხვა პარადოქსალური მოვლენები ჩვენი ეპოქისა მუდამ გაუგებარი დარჩებიან იმათთვის, ვინც ვერ ხედავს მსოფლიო ასპარეზზე გამოსულ ახალი ფენომენის, ბოლშევიზმის, განსაკუთრებულ ბუნებას, და მით გამოწვეულ დიდს ცვლილებებს ხალხთა ცხოვრების ყოველს სფეროში და, კერძოთ, ომისა და ზავის საქმეში..

ბოლშევიზმმა დაამყარა ახალი ფორმა ომისა — სამოქალაქო ომი, მუდმივი და განუსაზღვრელი დროისა და სივრცეში. ის განუწყვეტლივ აწარმოებს მას თავის გაჩენის დღიდანვე.. მისი შემწეობით შექმნა მან თავისი მსოფლიო ძლიერება. ჩერჩილმა უკვე აღნიშნა, რომ ამ გზით წითელმა მოსკოვმა ექვსასი მილიონი სული მოაქცია თავის გავლენის ქვეშ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, და ერთი თოფის გაუსროლელად. ამავე დროს და ამავე გზით, დანარჩენ მსოფლიოში, ევროპის და აზიის ქვეყნებში, მან გამოიწვია სამოქალაქო ომები. ასე-

ვე ერთი თოფის გაუსროლელად. დემოკრატიული ქვეყნებში კი ძალ-ლებული გახდენ თავის მილიტარულ ძალებით ჩარეულიყვენ ამ ბრძოლებში. ამერიკის ინგლისის, საფრანგეთის, გოლანდიის, საბერძნეთის, თურქების და სხ. ერების ჯარები იძულებული ხდებიან თოფებიც მრავლად გაისროლონ და ზარბაზნებიც. აქედან ნათელია, თუ რატომ იყო ისე უნიადაგო და უშედეგო მილიტარული ომის აღკვეთისათვის გაწეული ეგზომ დიდი მუშაობა. წარსულში მილიტარული ომი იყო მთავარი და ის აქა-იქ თუ შეეცდებოდა მტრის ბანაკში ბრძოლისა და განხეთქილების ჩამოდგების. ჩვენ ეპოქაში კი, ბოლშევიკური ფენომენის წარმოშობის შემდეგ ეს სამოქალაქო ომი იკავებს პირველს ადგილს და თვით ის იწვევს მილიტარულ ომებს. შესაძლებელია ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება გაუგებარი და ბურუსში გახვეული მსოფლიო დემოკრატიისათვის, ხოლო ერთი რამ მისთვის ნათელი გახდა: ეს ისა, რომ ბოლშევიზმმა უკვე დიდათ დაიზიანა დემოკრატიული სამყარო და თუ ეს გაგრძელდა, სრული კატასტროფით დასრულდება მისთვის. ამიერიდან მას აღარ სწამს სხვა გზით ამ საფრთხისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობა, და ახდილათ იწყებს ახალი ომისათვის მზადებას. ბოლშევიზმის ურთიერთობა კაპიტალისტურ სამყაროსთან, მათი თანაარსებობა, თვით ლენინის მიერ ნაკარნახევი, განმარტებით — მანამდის ვიდრე ერთი მეორეს შესჭამს, ამ უკანასკნელს ფაზაში გადადის, რომელი რომელს შესჭამს, რომელი რომელს დაამხობს.

სტალინს და მის თანამებრძოლებს მარტო უალრესი გაბედულობა და სიმტკიცე არ ახასიათებს. მათ არასოდეს აკლდათ აგრეთვე საერთაშორისო ვითარების გაგებისა და სწორათ დაფასების უნარი. ამ თვისებათა მეოხებით დაიმკვიდრეს მათ მსოფლიო ისტორიაში არასოდეს ხილული მილწევები, მცირე ჯგუფი თავდადებულ რევოლუციონერებისა მთელს მსოფლიოს სივრცეზე გაშლილ მრავალმილიონიან ლაშქრად რომ გახადეს, კაცობრიობის ერთი მესამედი თავის ხელმძღვანელობის ქვეშ მოაქციეს და დანარჩენი მსოფლიოს ყოველი კუთხე კიდევ რომ დანალმეს და ასაფეთქებლად მოამზადეს. მართალია. მოწინააღმდეგეთა სიბეცის მეოხებით მათს ასეთს მუშაობას ყველგან თავისფალი გზა და ასპარეზი ჰქონდა გახსნილი, მაგრამ ყოველივე ეს ბოლშევიზმის მეთაურობამ მაქსიმალურად გამოიყენეს. ამიერიდან ეს ამბავი დასრულებულია. დემოკრატიული მსოფლიო მტკიცედ დაადგა ბოლშევიკური საფრთხისაგან თავის დაცვის გზას, და ეს გზა მსოფლიო ომის საშინელებისაკენ მიიმართება. ბოლშევიკების მეთაურები ეჭვველად ჯერეოვანად დააფასებენ ამ ახალ ვითარებას.

ფრიად საეჭვოა, რომ სტალინმა ოპტიმისტურად დასახოს დემოკრატიულ სამყაროსთან მილიტარულ ომში ჩაბმის პერსპექტივები. რასაკვირველია ის კარგად იცნობს მსოფლიო დემოკრატიის ყველა სუსტ მხარეებს. მან კარგად უწყის, რომ ამ დემოკრატიულ ოჯახში ყოველივე რიგზე არ მიდის და დიდს არეულ-დარეულობასაც აქვს ადგილი. რაც კი გაჩენილა და აღზრდილა ამ ოჯახში: სოციალიზმი, კომუნიზმი, ბოლშევიზმი, თუ ნაციზმი და ფაშიზმი, იქ თავისუფლად გაზრდილნი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განებივრებულნი, როდესაც ძალას მოიკრებდნენ, „მოხუც“ მამას ყელში სწვდებოდნენ და დახრჩობას მოუნდომებდნენ; დემოკრატიული ქვეყნებში ხომ მუდამ მოუმზადებელნი ყოფილან წინააღმდეგობისა და თავდაცვისათვის, და ისინი ამით კიდევაც ამაყობენ. მაგრამ სტალინმა ისიც კარგათ იცის, რომ როდესაც ამ „მოხუც“ დემოკრატიას ყოფნა-არყოფნის საკითხი უდგება, ის მოულოდნელ ძალას იჩენს. ამ დემოკრატიამ სტალინის მახსოვრობაში დალეწა უძლიერესი იმპერიები, და უკანასკნელად თავის ხელით დაახრჩო თავისივე პირმშო შვილები — ნაციზმი და ფაშიზმი. არ არის სტალინისათვის საფიქრებელი, რომ ასეთივე ბედი ეწევა ბოლშევიზმსაც, უკეთუ ის ამ დემოკრატიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებმება? საგანგებით მოსალოდნელია, რომ სტალინი ყოველგვარ საშუალებას იხმარს, ამ გიგანტურ შეტაკების თავიდან ასაცდენად. ამისათვის ის უთუოდ ბევრ რამესაც დასთმობს, მაგრამ ფრიად საეჭვოა, რომ დემოკრატიულ სამყაროში დამყარებულ ახალს სულისკვეთებაში ამის მიღწევა მოხერხდეს. ორ ბანაკთა 'მორის უთანხმოებანი შესახებ გერმანიისა, ავსტრიისა, ეხლა კორეისა და სხვანი უკვე მეორეხარისხოვან საკითხებათ ხდებიან — მსოფლიო დემოკრატიისათვის. ახდილად ამას ორავინ ამბობს, მაგრამ მთავარ ამოცანად უთუოდ თვით ბოლშევიზმის არსებობის საკითხია დამდგარი, და ამას დემოკრატიულ სახელმწიფოთა ახალი წამოწყებანი საკმაოდ ამყღავნებენ.

მაგრამ თუ სტალინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ის ვერ მოახერხებს დემოკრატიული ბანაკის ხანგრძლივად დაყუჩებასა და შექცევას, რომ თავზარდამცემი ატომიური ომის აცდენა შეუძლებელი ხდება, რომ ასეთი ომი დალეწს საბჭოთა ქვეყნებს და შეიწირავს ათეულ მილიონთა სიცოცხლეს, რომ ის საბჭოების დამარცხებით და, მაშასადამე, ბოლშევიზმის დამხობით გათავდება, — არ არის შესაძლებელი, რომ ის გასწირავს ისედაც ვანწირულ ბოლშევიკურ წყობილებას, რომ ამით გადაარჩინოს საბჭოთა ერები მოსალოდნელ საშინელ უბედურებას? ასეთი შესაძლებლობის წარმოდგენა ბევრს მეტად უცნაურად შოეჩვენება, მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ მას მრავალჯერ გაუვლია სტალინის ფიქრებში. სტალინი მშობელი მამაა ამ წყობილების და მან კარგად იცის მისი ნამდვილი მდგომარეობა, რაც სხვებისათვის დაფარულია და უხილავი. ბოლშევიზმს მარტო ომის საფრთხე არ ემუქრება. მას სისხლსა და ხორცში აქვს უკვე დაბადებიდანვე გამჯდარი მძიმე სნეულებანი, რომელთა წინააღმდეგ სტალინმა მრავალი წამალი იხმარა, მაგრამ ვერას გახდა. ბოლშევიზმი, რომელიც გარედან სჩანს, როგორც ბუმბერაზი, ჯანსაღი, და ძლიერებით შემოსილი სახელმწიფო, უამრავი დივიზიებით, მრისხანე მარშლებითა და მთელი მსოფლიოს სიძულვილზე მოფენილ თავდადებულ მებრძოლებით, — სინამდვილეში წარმოადგენს უზარმაზარს, ხორციელად და სულიერად დაავადებულ სხეულს. თუ რამ კიდევ შეარჩენია მას ცოცხალი და ჯანზე მყოფი, ესაა მისი, კომინფორმი, სხვა ქვეყნებში სამოქალაქო ომის წარმოების საქმე.

ბოლშევიზმი არ ეკუთვნის ისეთ სოციალ-პოლიტიკურ წყობილებათ ოჯახს, რომელნიც აღმოცენდებიან ხალხთა ცხოვრების ბუნებრივ საფუძვლებზე, და ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებებს ემსახურებიან, რის გამო ხანგრძლივად ცოცხლობენ, საუკუნოებით ძღებენ. სტალინი თვითონ ადასტურებს ხაზგასმით, რომ „საბჭოთა წყობილება წარმოადგენს ისეთ ძლიერებით შემოსილ სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას, რომლის მსგავსი არასოდ ხილულა კაცობრიობის ისტორიაში“. მაშასადამე ის უფროთავმოყვარული მმართველობაა, ვიდრე წარსულ დროთა აბსოლიუტიზმი, დესპოტიზმი და ტირანია, სადაც ხალხთა ცხოვრების დიდი ნაწილი სახელმწიფო ძალაუფლებას ეპყრა ხელში. ბოლშევიკური სახელმწიფო მთლიანად დაუპატრონია ხალხთა ცხოვრებას, ყველა მის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ სფეროებს, ადამიანის ყოველგვარ მოქმედებას, და თვით მის ლტოლვას დასწრაფვას. ბოლშევიკური სახელმწიფოს გიგანტურ მანქანის გარეშე არ არსებობს არავითარი ადამიანური საქმე და მოქმედება, ყოველივე მას ემორჩილება, ყოველივე მისგან არის ნაბრძანები, ყოველივე ამ მანქანაშია შერეკილი, მის ნაწილად არის გადაქცეული. ბოლშევიკურ სახელმწიფოში არ არსებობს მოქალაქე, პიროვნება, იქ ასეთი სიტყვებიც ალარ არიან ხმარებაში. მათი ადგილი დაიკავა „საბჭოთა ადამიანის“ მცნებამ. ეს არის ადამიანი, სახელმწიფოებრივ მანქანის ნაწილად გადაქცეული. ერთს თავის სადღეგრძელოში სტალინმა „პაწია ხრახნი“ უწოდა ამ საბჭოთა ადამიანს. ეს სიტყვა სავსებითა და სწორად გამოსახავს ამ უცნაურ მოვლეანს.

ყოველი ცოცხალი არსი საჭიროებს თავისუფლების ერთგვარ ოდენობას. ხოლო ადამიანური ცხოვრება გაცილებით მეტს თავისუფლებას მოითხოვს, ვიდრე პირუტყვისა და მცენარის. საბჭოთა მანქანაში მომწყვდეული ორასი მილიონ ცოცხალი ხრახნები მოკლებულნ არიან ამ ადამიანურ ცხოვრებისათვის აუცილებელ თავისუფლებას. ისინი პირუტყვულ თავისუფლების დონეზე არიან დაყვანილნი. არ არსებობს ცხოვრების არც ერთი კუნჭული, სადაც საბჭოთა ადამიანი თავის უფლად, თავის ბატონად გრძნობდეს თავს. მას ყოველთვის და ყოველგან სხვები ატრიალებენ, სხვები ამოძრავებენ და სხვები უყრიან ყოველდღიურ საკვებს ბაგაზე მიბმული პირუტყვსავით. პოლიტიკური ძალის ეგზომ ინტეგრალური ბატონობა ადამიანზე არასოდეს ხილულა წარსულში, და ეს უთოოდ არა იმიტომ, რომ სურვილი არავის დაჰბადებია. ტირანები და დესპოტები ვერ მიდიოდნენ ასე შორს, ვინაიდგან ის ადამიანობის ბუნებას ეწინააღმდეგებოდა, და მისი განაღდება და ხანგრძლივად შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ხალხთა და პიროვნებათა თავისუფლება ხშირად დიდათაც ყოფილა შეზღუდული, და ხალხებს ეს საუკუნეთა მანძილზე მათი სრული უფლებააყრილობა არასოდეს ყანალდებულა. ბოლშევიზმმა მოახერხა ამის განხორციელება. ამის მიზეზი იყო ერთად თავისმოყვარეობა მთელ რიგ განსაკუთებულ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებისა და ჩვენი ეპოქის დიდ ტექნიკურ შესაძლებლობისა. მაგრამ ეს განსაკუთრებული მოვლენები ცვალებადობ-

ბას განიცდიან, სუსტდებიან, ან ჰქრებიან, ხოლო ადამიანური ცხოვრების ბუნებრივი მოთხოვნილებანი ძალაში რჩებიან და თავისას მოითხოვენ.

ადამიანის ცხოვრება იმით განისხვავდება პირუტყვულისაგან, რომ ის მხოლოდ დღიური მოთხოვნილებით არ არის განსაზღვრული. ყოველი ადამიანი, მდიდარი თუ ღარიბი, გძელვადიანი გეგმით ცოცხლობს. მისი პიროვნება გადაჯაჭვულია ოჯახს, საზოგადოებას. ერს, უბირი გლეხიც ცდილობს, რომ მისი შრომის ნაყოფი შვილებსა და შვილიშვილებსაც მისწვდეს. ლატაკსაც აქვს იმედი, რომ თუ ის არა, მისი შვილი მაინც დააღწევს თავს გაჭირვებას და კეთილდღეობას მოიპოვებს. ამის მაგალითს ის მრავლად ხედავს ხალხთა ცხოვრებაში, სადაც ეს სიმდიდრე და კეთილდღეობა ცვალებადია და ხელიდან ხელში გადადის. ბოლშევიკურ სამყაროში კი ადამიანის ცხოვრება მის ყოველდღიურ საჭიროების ფარგლებს ვერ სცილდება. საბჭოთა ადამიანის შვილები და შვილიშვილები მასავით სახელმწიფოს მანქანის ხრახნებად ხდებიან დაბადებიდანვე, მას ეკუთვნიან, და მათი ცხოვრებაც მაზედ არის დამოკიდებული და უცვლელ კალაპოტში ჩაყენებული. ისინიც მამასთან ერთად იქნებიან მიბმულნი ბაგაზედ, და იქ მიიღებენ ყოველდღიურ საკვებს. ასეთია საბჭოთა ადამიანის ხვედრი, და არა მარტო მუშისა და გლეხის, არამედ თვით პარტიის მეთაურების, მარშლებისა და მინისტრების. ესენი უთუოდ უკეთ არიან ჩაცმულნი და უკეთ იკვებებიან, მაგრამ ხვალინდელი დღე არც მათთვის არსებობს, და როგორც სხვებს, ისე მათაც ადვილად სრესავს ეს ულმობელი მანქანა. ძველად მონებსაც ჰქონდათ დატოვებული მონობისაგან თავისდაღწევის ზოგიერთი გზები: ნათესავებისაგან გამოსყიდვა, თუ ქონების შეძენა და მით განთავისუფლება. საბჭოთა ხრახნებს ეს გზებიც დაკეტილი აქვთ. ნათელია, რომ ასეთს წყობილებაში — ოჯახი, ერი, ეკლესია, ერთა უფლება, რესპუბლიკები, კანონი, სასამართლო და სხ. უსულო და უსხეულო ლანდებს წარმოადგენენ, თავისიანთა და სხვათა თვალისასახვევად დატოვებულს.

ბოლშევიკები აშტკიცებენ, რომ ასეთი წყობილება მიიღეს საბჭოთა ერებმა ერთსულოვნათ და აღტაცებით. საბჭოთა ადამიანს თურმე კერძო ინტერესი და საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნვა არ ასულდგმულებს, როგორც ეს კაპიტალისტურ ქვეყნებშია. უკვე ოცი წლის წინეთ გვარწმუნებდა სტალინი, რომ საბჭოთა ადამიანებს სულ სხვა ინტერესები და ზრახვანი ამოძრავებენ. მათ ბედნიერებად მიაჩნიათ თურმე, და მაღალ იდეალად „დამკვრელ ბრიგადის ეგმირად გახდომა და მით მშრომელ მასსების მაღალი დაფასების მოპოვება“. ხალხთა ასეთს სულიერ გარდაქმნას სასწაულებრივი შედეგებიც მოჰყოლია. დამკვრელ ბრიგადებს და ლენინის ახალგაზრდობის რაზმებს 120 მილიონი მესაკუთრე გლეხობა, არა ძალდატანებით, არამედ „დაჯერებით“ სოციალისტებად გაუხდიათ და კოლხოზებში შეუყვანიათ. ამას გამოუწვევია საზღაპრო ზრდა მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის პროდუქციისა და მით ხალხთა ქონებრივი კეთილდღეობისა. სტალინი ამას სტატისტიკური ციფრებითაც ადასტურებს. ეს ცნობები სანახევროდაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გამართლებულიყვნენ, 200 მილიონი საბჭოთა ადამიანები ფარჩებში უნდა იყვნენ გახვეულნი. მაგრამ ბოლშევიკები სტატისტიკასაც სტახანოვურად აწარმოებენ. ციფრების გადიდება ადვილი საქმეა, ხოლო საბჭოთა ადამიანი კარგად ხედავს თუ როგორია მისი კვება, მისი ჩაცმულობა, მისი ბინა და ამის მიხედვით აფასებს ბოლშევიზმის მიღწევებს.

სტალინმა, უდავოა, მრავალნაირი ზომა მიიღო ყველა დარგის წარმოებათა ნაყოფიერების გასაძლიერებლად და მით ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შემოიღო ნარდათ მუშაობა, პრემიები, მშრომელთა წაქეზება, „სოციალისტური შეჯიბრება“, „სტახანოვშჩინა“, „იერიშიანობა“, გარდამავალი დროშები. ფულით ჯილდოსთან ერთად მან დააწესა მენდლები, „შრომის გმირის“ წოდება და სხ.. ასეთი ზომებით აქ იქ პროდუქცია გაიზარდა, ხოლო ამავე დროს ერთიანობად დაეცა ნაწარმოების ხარისხი. ეხლა ბოლშევიკები ადგენენ „ხარისხის დამკვრელ ბრიგადებს“. ეს უკვე სტახანოველობისა და იერიშიანობის საწინააღმდეგო პოლიტიკაა. და თუ ის ხარისხს გააუმჯობესებს, უთოოდ წარმოების რაოდენობასაც შეამცირებს. ამ სახით ბოლშევიზმმა თვითონვე მოაქცია ჯადოსნურს წრეში საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკა. ამის შედეგი ყველასათვის ნათელია და უდავო: საერთო ბუნების ნაცვლად მან აარასოდეს ხილული მონობა და საერთო სიღატაკე დაამყარა.

ლენინმა რუსეთის რევოლუციას დაუსახა მიზნად პროლეტარული დიქტატურის შემწეობით კაპიტალიზმის განადგურება რუსეთში, იქ სოციალიზმის დამყარება, და ამის შემდეგ სოციალისტური რევოლუციის მოხდენა მთელი მსოფლიოს სივრცეზე. ოთხი წლის განმავლობაში მან ყოველნაირი ექსპერიმენტი გააკეთა მრეწველობის სოციალისტურ საფუძვლებზე გადასაყვანათ, თანახმად მარქსისა და სხვა სოციალისტების თეორიებისა. ბოლოს დარწმუნდა რომ ლამაზათ გამოსახულ კომუნისტური და სოციალისტური იდეალების განხორციელება შეუძლებელია, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან ადამიანის ბუნებას. მან დაინახა, რომ პროლეტარიც ისევეა გაჟღენთილი კერძო საკუთრების სიყვარულით, როგორც კაპიტალისტი. გამონაკლისი მეტად იშვიათი აღმოჩნდა — ესენი ერთი ჭარხნისათვის თუ იქნებოდენ საკმაო. ლენინმა აქედან სათანადო დასკვნა გამოიტანა; 1922 წელს მან გამოაქვეყნა თავისი „ახალი ეკონომიური პოლიტიკა“ — „ნეპი“, აღადგინა თავისუფალი ვაჭრობა, შეაჩერა კერძო წარმოებათა ჩამორთმევა და გადაწყვიტა ჩამორთმეულ წარმოებათა ფაქტიურად უკანვე დაბრუნება მეპატრონეთათვის ხანგრძლივადიან ვადით. სოფლად საშუალო და წვრილ საკუთრების კონფისკაციაზე ხომ ლაპარაკიც აღარ იყო. ეს იყო გაცილებით უფრო მძლავრი შეტრიალება რევოლიუციისა, ვიდრე საფრანგეთის რევოლუციის ტერმიდორი. არსებითად ლენინმა აიღო ის სოციალური და პოლიტიკური ხაზი, რომელზედაც დადგნენ შემდეგ მუსსოლინი და ჰიტლერი. ლენინი მალე მოკვდა და სტალინმა ეხლა სულ სხვა გეზი მისცა რუსეთის რევოლიუციას. მან დაამყარა სრული და ახალი პოლიტი-

კური და სოციალური წყობა, ეხლანდელი ბოლშევიზმი; მან კომუნისტური პარტიის დიქტატურა დაამყარა თვით პროლეტარიატზედ, რომელსაც ვერ გაამართლა მარქსის მიერ დაკისრებული მისია. შემდეგ თვით ბოლშევიკურ პარტიასაც იგივე ბედი ეწვია. ბოლშევიკურ ტიტანურ პოლიტიკურ მანქანამ თავის ხრახნებად აქცია, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანები, ასევე ბოლშევიკური პარტიის წევრებიც, სათავიდან დაწყებული უკანასკნელ წევრამდე. თუ სტალინი ჰფიქრობდა ძალით გარდაქმნას ხალხთა ბუნებისა, ეს არ გამართლდა. თუ მისი მიზანი იყო ამ გზით დამხობა მსოფლიო კაპიტალიზმისა და დემოკრატიის, ამიერიდან ესეც დამარცხებულია. როგორც დამლვრევი, ძალადატანების იარაღი, ის მეტად ნაყოფიერი გამოდგა, ხოლო ბოლშევიზმის საბოლოო ნაყოფი ისაა, რომ მისი დამხობა მორიგ და გარდაუვალ ამოცანად გადაიქცა, როგორც საბჭოთა ერებისათვის, ისე დანარჩენ მსოფლიოსთვის.

ბოლშევიზმის დასამხობად ამ ჟამად მსოფლიო ომი მზადდება. საბჭოთა ერების ემიგრაცია ვერ გახდება მის მოტრფიალედ, რადგან ატომიური ომის საშინელება ყველაზედ მეტად ჩვენს ერებს დაატყდება. მაგრამ ჩვენ არც მისი აღკვეთა შეგვიძლიან და არც მისი დაგვიანება. ჩვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ჩვენ მეორე გზას ავირჩევდით. აქამომდე საბჭოთა ერების მუდმივ ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ოჯანყებებით, შეთქმულობებით და გამუდმებული პასსიური წინააღმდეგობით, ვერსად ჰპოულობდა რეალურ დახმარებას. კიდეც მეტი—არა მარტო მსოფლიოს კომუნისტური და სოციალისტური ძალები, არამედ თვით კაპიტალისტური და დემოკრატიული წრეებიდან ბოლშევიზმს ამაგრებდნენ მრავალნაირი საშუალებით. ამიერიდან საფუძველიანად შეცვლილია ასეთი ვითარება. ამის გამო შესაძლებელი უნდა გახდეს საბჭოთა ერების მრავალრიცხოვან ემიგრაციისაგან და მთელ მსოფლიოს სივრცეზე შემოკრებილ ვოლონტერებისაგან რამოდენიმე ათეული დივიზიის შედგენა. ეს ძალა დაიკისრებს ბოლშევიზმის დანგრევის მისსიას. ბოლშევიზმმა მრავლად მოგვცა ამგვარი რევოლუციურ ბრძოლის ნაყოფიერების მაგალითები. ამჟამიდან ბოლშევიზმს დაპირდაპირებული მსოფლიოც უნდა დაადგეს ამ გზას. ბოლშევიკურ უღლის ქვეშ მოქცეული კაცობრიობის მესამედი საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენს ამისთვის. ბოლშევიზმის მძიმედ დასნეულების გამო, შესაძლოა ასეთმა ბრძოლამ სრულიად მოულოდნელი ნაყოფი გამოიღოს, და ფრიად მცირე მსხვერპლით განისაზღვროს. ყოველს შემთხვევაში, ეს მსხვერპლი შრავალჯერ ნაკლები იქნება საბჭოთა ერებისათვის, ვიდრე ატომიური ომი.

არის კიდევ მესამე გზა, და ის სტალინსა და თანამებრძოლებზეა დამოკიდებული. შეუძლიანთ თუ არა მათ თავისივე ხელით ახსნან ბორკილები საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ერებს და მით გაუხსნას მათ ნორმალი ცხოვრების დამყარების გზები? ეს, რასაკვირველია, უფრო მძლავრი გარდატეხა იქნება, ვიდრე ლენინის ტერმიდორი იყო. მაგრამ მისი შესრულება ეხლა გაცილებით უფრო ადვილია მათთვის. 1922 წ.

კომუნისტური პარტია და პროლეტარიატი კიდევ შეპყრობილნი იყვნენ რევოლუციური ფსიხოზით, სოციალისტური ბედნიერების დამყარების იმედებით. ამ იდეალების გაკოტრება რომ დაინახა ლენინმა, ამას კიდევ ვერ ხედავდნენ მისი პარტიის ფანატიკ წრეები. იმ ხანად ლენინის სამყაროს კიდევ არავითარი საგარეო საფრთხე არ ემუქრებოდა. დღეს კი ბოლშევიზმის ყოველმხრივი გაკოტრება ყველასათვის ნათელი გახდა. ომიც რომ არ მოხდეს, განუკურნავ შინაურ სნეულებათა გამო მისი სიცოცხლე ხანმოკლეა, და ამას უთუოდ კარგათ გრძნობს თვით ბოლშევიკური პარტია. ორასი მილიონი „პაწია ხრახნები“ ხშირად ამყლავნებენ დიდს ნერვიულობას, და მათი ათი გრადუსით შეტრიალებაც ხომ საკმარისია, რომ ეს გიგანტური მანქანა ნაცარტუტად იქცეს; ასეთი შებრუნება ხალხის სულიერი განწყობილებისა ხშირად მომხდარა სრულიად მოულოდნელად. კოლხოზების საბოტაჟი უკვე საშიშ ფორმებს ღებულობს. მათ დიდ ერთეულებში აჯგუფებენ, მათში ინტენსიურ პარტიულ მუშაობას აჩალებენ, მაგრამ ყოველივე ეს პალიატივია.

კოლხოზები რომ წინეთ გეგმაზე მეტს იძლეოდნენ, უკანასკნელ წლებში გეგმაზე დიდათ ნაკლებს ასრულებენ. მიზეზი ის არის, რომ ყველა დარგში და ყველასათვის ჩვეულებად გამხდარ ქურდობას, „ხალტურას“, მალა ემატება — მეტს იპარავს, მეტს ითვისებს. ღამით ყანებს ქალები და ბავშვები ესევიან და პურის თავთავებს სახლში ზიდავენ, რომ მით შეავსონ სახელმწიფოსაგან დანიშნული ულუფა. ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლა უიმედოა. ესენი არ არიან „კულაკები“ და კაპიტალისტები, — ეს საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობაა. „ხალტურა“ ბოლშევიკური წყობის ღვიძლი შვილია. ბოლშევიკური მანქანის ყველა დიდი და პაწია ხრახნი მას მისდევს, იმით ივსებს ბაგაში ჩაყრილ საკვების ნაოდენობას. ამათ დასატევ ციხესა და დამსჯელ ბანაკებს ვერავინ ააშენებს, და საკმაო დაძრაჯვებს კიდევ „კომინფორმიც“ ვერ შეკრებს მთელი მსოფლიოს სივცეზე.

ყველა რევოლუციები, რაც კაცობრიობას უხილავს, ადასტურებენ უდავოდ, რომ რევოლუციური ფსიქოზი, აღტყინება, დიდხანს არ ძლებს, მალე ქრება. სანუკვარ იდეალებით აღგზნებული კომუნისტები, რომ ამაყური გატაცებით ელტოდნენ ყველას, ვისაც მათი იდეალები არ სწამდა, ეს უკვე გაქრა. მათ თვითონ დაკარგეს ამ იდეალების რწმენა, და უდანაშაულო ხალხის ჟლეტა უკვე აღარ არის მათთვის მიმზიდველი ხელობა. სტალინმა ხელოვნური საშუალებებით შეანელა ეს პროცესი. შინაური გაკოტრება საგარეო მიღწევებით დაფარა, ხოლო კომუნისტებში რევოლუციური ექსტაზის შენარჩუნება კიდევ მოინდომა ჯილდოებითა და მენდლებით. ამის შედეგად ის არის მხოლოდ, რომ ეს შრომისმოყვარე რევოლუციონერები ბოლშევიკური მანქანის უფრო მომსხო და მენდლებიან ხრახნებად გადიქცნენ. ადამიანური კეთილდღეობა კი არც მათთვის არსებობს. ეს არ არის რეალური უპირატესობით აღჭურვილი მშვენიერი წრე, როგორც ეს საზოგადოთ არის ცნობილი. ისიც ხორციელად და სულიერად დაბეჩავებული წრეა, როგორც ყველა სხვა. ამიტომ ბოლშევიკების მეთაურებმა რომ გამოაცხადონ ერთის დღეს: —

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად ლენინის ანდერძისა, — საჭიროა დაცდა სოციალიზმის განა-
არსებისათვის ხელსაყრელი პირობებისა მთელი მსოფლიოს სივრცეზე,
და ამის გამო საბჭოთა რესპუბლიკებში „დროებით“ დემოკრატიული
წყობა უნდა შემოვიღოთო, ეს კომუნისტებიც ერთსულოვნად აჭყვეტიან
ხალხის სასიხარულო ყიჟინას. სხვა გზით ბოლშევიზმის დამხობა კი მათ
აშინებს. ისინი ჰფიქრობენ, რომ ამას მოჰყვება მათი გაყლეტა ბოლშე-
ვიზმის ყველა ცოდვათა და დანაშაულობათა გამო. მაგრამ ასეთი რამ
უთუოდ არ არის აუცილებელი და სავალდებულო. საფრანგეთის რევო-
ლუციონერები რომ მრავლად დაიღუპნენ, ეს მხოლოდ მათი ერთმანე-
თის ჟლეტით მოხდა. ტერმიდორმა და შემდეგ ნაპოლეონმა გადაარ-
ჩინეს ისინი ამ ჟლეტას და ფიზიკურად შეინახეს. შურისძიების საფუ-
ძვლებზე ვერ აშენდება ხალხთა ნორმალური ცხოვრება. ასეთი სულის-
კვეთებით შეპყრობილი ელემენტები ვერ გახდებიან საბჭოთა ერების
ახალი ცხოვრების დაფუძნების ხელმძღვანელებად. ხოლო საჭიროა,
რომ კომუნისტებმა აქედანვე აიღონ მტკიცედ ხალხთან შემარიგებელი
მოქმედების გეზი. უნდა დაფარიდონ ხალხის გამაბოროტებელ მოქმედე-
ბას. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ადამიანს სხვა და სხვა საზომი აქვს ძვე-
ლი და ახალი დანაშაულობის შესახებ. ის ახალს ნაკლებად აპატიებს,
ხოლო ძველს ადვილად ივიწყებს. ასეთია თანამედროვე ადამიანის მო-
რალი, და ეს კულტურულ ერებს კანონებშიაც აქვთ გატარებული.

ბოლშევიკები ხმამაღლად გაიძახიან საბჭოთა პატრიოტიზმის შესახებ.
როგორია ამ პატრიოტიზმის ბუნება? ემყარება იგი საბჭოთა ერებისადმი
სიყვარულსა და მათზე მზრუნველობას, თუ საბჭოთა მანქანას, საბჭო-
თა წყობილების ტრფიალს? გულის სილრმეში ამ-კითხვაზე გაცემულ პა-
სუხზე იქნება დამოკიდებული მათი მომავალი მოქმედების გეზი—საბ-
ჭოთა ერებისათვის სასაგრებლო თუ მავნე, და ასევე ამ ერების მიმარ-
თებაც მათდამი.

მსოფლიოს ამჟამინდელ მძიმე ვითარებაში უაღრესი დანაშაული იქ-
ნება მოახლოებულ მოვლენათა გაზომვა წარსულ ბრძოლათა და ურთი-
ერთობის საზომით. განვლილ წელთა დიდი მოვლენები და დიდი
ამოცანები ფრიად მცირედ სჩანან შედარებით იმისა, რაც ჩვენ
მუქარით გვიახლოვდება.

ასეთ საბედისწერო ჟამს არამც ხალხთა ცხოვრების საჭეთმპყრობე-
ლნი, არამედ ყველა უბრალო მომაკვდავნიც მოვალენი არიან გულმოდ-
გინედ დააფასონ ამ მოვლენათა მოსალოდნელი შედეგები, და ახდი-
ლათ აიღონ პასუხისმგებლობა წინაშე თავის ერისა, მისი აწმყოსი და
მომავალისა.

ალ. ასათიანი

ჩვენი პოზიცია და ეროვნული ერთობა

დამოუკიდებელი საქართველოს ხელახლად რუსეთის მიერ დაპყრო-
ბის პირველ დღეებშივე, ეროვნული ერთობის იდეა და აზრი ბუნებ-
რივად ერ.ოდემ. პარტიის წრეებიდან გამოვიდა. მისი თანხმობით დამ-

ყარდა ეროვნული ერთობა; დაარსდა ერთობლივი მებრძოლი ერის მეთაური ორგანო — „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ — უკანასკნელის მეთაურობით მთლიანმა ქართველმა ერმა, დაუსრულებელ „ქართულ მატიანე“-ს, სისხლით დაწერილი ერთი დიდი ეპოქაც მიუმატა.

საბჭოთა-საგან მოწყვეტილ ქართულ ემიგრაციაში ძნელი ალმოჩნდა სრულყოფილი ეროვნული ერთობის შექმნა. უკანასკნელი მსოფლიო ომის დასრულებიდან, ქართველობამ მწვავედ იგრძნო მისი საჭიროება. ერთიანეროვნული ერთობის იდეა და აზრი, ისევ ბუნებრივად, ერ.-დემოკ. პარტიის წრეში დაიბადა. უკანასკნელმა ეს იდეა ქართული საზოგადოებრივი აზრის წინაშე დააყენა.

„ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, საბჭოთა-ში დაბრუნებამდე, მხოლოდ ერთი საერთო საქმე აქვსთ: **ქართველი ერის უფლებათა დაცვა და მისი თავისუფლების მოპოვებისათვის გზების ძიება. აქედან იბადება მათი მჭიდრო და ორგანული ერთობის აუცილებლობა“.**

„ქართული ეროვნული - პოლიტიკური ემიგრაციის წინ გადაუდებელი მოვალეობა სდგას: პარტიული და უპარტიოთა ცოცხალი ძალების ერთსულოვნობისა და მთლიანობის ნიადაგზე, ეროვნული ცენტრისა და მეთაურობის შექმნა“ — ვსწერდით ჩვენ „ივერიის“ პირველ ნომერში.

ვიცნობდით რა სოც.-დემ. პარტიის ბუნებასა და ხასიათს, თანაც მის გადაჭარბებულ პოლიტიკური უპირატესობის თვითწარმოდგენასა და ავადმყოფურ თავმოყვარეობას, ეროვნული ერთობის შექმნისა და განხორციელების ინიციატივა, სრულიად შეგნებულად მას დაუთმეთ. ჩვენი ასეთი ტაქტი შეეფერებოდა ჩვენს ღრმა სურვილს — ხორცი შესხმოდა ჩვენს მიერ დასახულ მიზანს; ჩვენ არ გვამოძრავებდა ამ საქმიანობაში ჩვენი პირველობა, ჩვენი მეთაურობა.

სოც.-დემკრ. პარტიამ რამოდენიმე თვის განმავლობაში კრებიდან კრებამდე ყურით ათრია ეს უდიდესი მნიშვნელობის საკითხი. დაბოლოს, მისი განხორციელება, მათი პარტიის ერთი ნაწილის ფარგლებში მომწყვდეულს, ყოფილი მთავრობის წევრებს ჩაბარა. მიუხედავად ყოფილი მთავრობისადმი ჩვენი უარყოფითი განწყობილებისა, ჩვენ სხვა პოლიტიკურ წრეებთან ერთად გამოვცხადდით მათ მიერ მოწვეულ საგანგებო თათბირზედ. თათბირმა ყოფილ მთავრობის წევრებს ეს ინიციატივა ჩამოართვა, ექვსი ორგანიზაციის წარმომადგენელთაგან საგანგებო კომისია აირჩია და მას ეროვნული მთლიანობისა და ცენტრის დაარსება მიანდო.

ამ დროს, 1949 წ. დეკემბერში „ივერიის“ მეორე ნომერში ჩვენ, ქართული საზოგადოებრივი აზრის წინაშე, წარვადგინეთ მკაფიოთა და ნათლათ გამოთქმული დებულებების სახით, ჩვენი აზრები და შეხედულებანი, ეროვნული ცენტრის დაარსების შესახებ. აღვნიშნეთ ის ეროვნულ - პოლიტიკური და მებრძოლი ცოცხალი ძალები, რომელთა მონაწილეობითაც უნდა შემდგარიყო ქართული სრულ უფლებიანი და სუვერენული ეროვნ. ცენტრი, რომელსაც ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაციის, და არა საბჭოთა საბჭოობილეში ჩაკეტილი ქართველი ხალხის პასუხისმგებლობით ემოქმედა. დიდის მორიდებით და თვით სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნის დაუსახელებლათ, გამოვსთქვით ჩვენი შეხედულება იმ ძველ ოფიციალური ᲥᲠᲘᲡ შესახებ, რომლის მეთაურობითაც ᲡᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲫᲝᲕᲚᲔᲜᲐᲗᲐ ტალღებაშლილ ზღვის უფსკრულში ჩაიძირა ძველი ეროვნული ცენტრი, და რომლის მიერ ეროვნული საქმიანობის მეთაურობა არასოდეს უხილავს და უგრძნია ქართველ ემიგრაციას.

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ მთავრობის საკითხი ეროვნული ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით, ჩვენ აშკარად არ დაგვიყენებია საზოგადოებრივი აზრის წინაშე. ეროვნული ცენტრი პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებითა და მონაწილეობით უნდა შემდგარიყო. ყოფილი მთავრობის წევრები ᲮᲝᲛ სოც.-დემოკრ. პარტიის წევრები და მეთაურებიც არიან. ჩვენ არ მივიღეთ ახალი ეროვნული ცენტრის ძველი, ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ცენტრის საფუძვლებზედ აღდგენა, მისი ვასალური დამოკიდებულება და დამორჩილება ყოფილი მთავრობისადმი. ჩვენი ეს პოზიცია, აზრი და შეხედულება ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ძველსა და ახალ, ჩვენს მიერ მწარედ განცდილ მოვლენებზედ და ფაქტებზედაა დაფუძნებული. ახალი ამბავი არ არის ის, რომ ბ-ნი ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ მთავრობა ჩვენ საქართველოს ᲧᲝᲤᲘᲚ მთავრობათ მიგვაჩნია. ამის შესახებ საკმაოდ გამოგვითქვამს ჩვენი შეხედულებანი, ჩვენს ძველს გამოცემებში. მათი განმეორება დღეს ზედმეტად მიგვაჩნია.

ჩვენ როგორც ქართველებს და ეროვნული თავმოყვარეობის მქონეთ, იმდენათ დიდი პატივისცემა გვაქვს ჩვენი ეროვნული მეობის, რომ ვერიდებით იმ პიროვნებათა შესახებ, რომელნიც ჩვენი დამოუკიდებლობის დროის ისტორიულმა მოვლენებმა ჩვენი ᲥᲠᲘᲡ სათავეში ჩააყენა, საზოგადოებისა და მსოფლიოს საყურადღებოთ, პრესაში გამოვაქვეყნოთ ის ამბები, რომლის ავტორებიც ისინი არიან. ეს ᲯᲔᲠ მათ პოლიტიკურ მიმდევრებსაც ვერ მოუნელებათ, და როგორ შეუძლიათ ჩვენ მოგვთხოვონ მათი მონელება, მათი დავიწყება. ამ მხრივ ჩვენ მართლაც —ᲥᲘᲗᲐᲑᲘ“-ს ხალხი ვართ, მაგრამ ჩვენი „ᲥᲘᲗᲐᲑᲘ“ სამშობლოსი და ᲥᲠᲘᲡ უაღრესი რწმენაა სჯულათ - დებული. ჩვენს მიერ მოვლენათა განსჯა ამ „ᲥᲘᲗᲐᲑᲘ“-საგან გამოდის. ის შეუცნობელია და გაუგებელი მარქსიზმის „ᲥᲘᲗᲐᲑᲘ“-ს ხალხისა და პოლიტიკური ანარქიზმით მოცული გონებისათვის. ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ დასტამბული „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ საქმის“ მეშვიდე ნომერი, ამ რამოდენიმე წლის წინ უხვად გაავრცელეს ემიგრაციაში და საქართველოში. იქ გამოქვეყნებული ამბების დავიწყება არ შეეფერება არც პოლიტიკურ მოღვაწეს და არც უბრალო მოქალაქეს. იმ ამბავთა მომქმედ მთავარ პიროვნებას, ჩვენის ფიქრით, ალარ უნდა ჰქონდეს პრეტენზია ქართული ეროვნულ პოლიტიკის ხელმძღვანელობისა. იმედი გვაქვს ამით დაკმაყოფილდებიან და თავიდან აგვაცდენენ ჩვენი ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ფურცლებზედ, იმ არასასიამოვნო მასალების გამოქვეყნებას, რომელიც „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ საქმის“ ეპოქას შეეხება.

ჩვენ საღათ და რეალურათ გვესმის იმ ორი ძირითადი მოვლენის შინაარსი და ძალა, რომლისაგანაც ბ-ნ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ და მის თანამოაზრეებს გამოჰყავთ ის შემცდარი აზრი, თითქოს ბ. ნ. ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ მთავრობა იყოს საქართველოს სუვერენობის მუდმივი და ერთად ერთი

წარმომადგენელი. სახელდობრ საქ. დამფუძნებელ კრების არჩევნები და უცხო სახელმწიფოთა მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა, ჩვენის აზრით იმ ორ ჩევნებს ბ-ნი ჟორდანიას დიხასტია საუკუნოებრივ არ დაუმტკიცებია და დაუფუძნებია. უცხო სახელმწიფოებმა ქართველი ერის ძუძმივი სურვილისა და ნებისყოფის გამოხატულება — აღდგენილი თავისუფალი სახელმწიფოებრივი არსებობა და სუვერენობა — აღიარეს და იცნეს და არა კერძოთ ბ-ნი ჟორდანიას მთავრობა და ისეც მუდმივ დინასტიათ. ასეთი იყო, აზრი და შინაარსი იმ ორი შინაური და საგარეო აქტისა. ამათი საწინააღმდეგო აზრი და შინაარსი თვით დემოკრატიის ფუძეა - აზრის უარყოფა იქნებოდა.

აქედან ცხადია და უდაო; ქართველი ერის სუვერენობის სახელით, ეროვნული თავისუფლების აღდგენისათვის მოქმედება და ბრძოლა ყოველი ქართველის, უფლებაა და განსაკუთრებით მათი, რომელთაც ეს უდიდესი საქმე მუდმივ მიზნათ დაუსახავთ და არა დროისა და ტაქტიკის საკითხად.

„ივერი“-ის მეორე ნომერში ამ საგანზედ გამოქვეყნებულ წერილიდან, ახალ დინასტიაზედ შეფიცულმა მოქალაქეებმა თავისებური აზრები ამოიკითხეს სტრიქონებს შორის, „ჩვენი დროში“-ს ფურცლებზედ დემოკრატობა დაგვიწუნეს. ერთ - ერთ ოფიციალურ თათბირზე და მის კერძო ბინაზედ ჩვენი წრეების ოფიციალურ წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს ბ-ნ ნ. ჟორდანიამ ინება უტიფრათ განეცხადებია: თქვენ ჩვენს ეროვნულ მთავრობას არა სცნობთ; თქვენგვარსთ ფიქრობენ ბოლშევიკებიო. ასეთი იყო მისი მეთოდი შინაურ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთან ანგარიშის გასწორებისა ამ ოცი წლის წინ, მის შედეგებს დღესაც განიცდის ქართული პოლიტიკური წრეები. ასეთივე მეთოდით მიადგა ის მისი პოლიტიკური მოღვაწეობის საუკუნის უკანასკნელ გასავალ კარებს.

1949 წ. 9 ნოემბრის თათბირზე არჩეულმა კომისიამ, მრავალი სხდომებით, გაფართოებულ თათბირებისა და კერძო მოლაპარაკების გზით, სრული ერთი წელიწადი იმუშავა. კომისიამ, მთელი შემადგენლობით, გაიზიარა და მიიღო ეროვნული ცენტრის შესაქმნელად, ჩვენს მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული დებულებები. უკანასკნელნი მან საკუთარ დებულებებათ მიიღო და ჩამოაყალიბა. ს.-დემ. პარტიის წარმომადგენელი ვერასცნობდა თავს სრულუფლებიანათ და რეზერვი დაიტოვა ყოფილ მთავრობის საკითხის შესახებ. კომიისის მიერ მოწვეულ თათბირზე ჩაერია ბ-ნი ჟორდანია, მან კუთხით დააყენა „მთავრობის“ საკითხი და მოითხოვა მომავალი ეროვნული ცენტრი კონტაქტში შესულიყო „ეროვნულ მთავრობასთან“. მისი აზრი ჰფარავდა მის დებულებას — ძველ ეროვნულ ცენტრის აღდგენას და მის მოქმედებას „მთავრობის“ ხელმძღვანელობით. ს.-დემ. პარტიის ერთი ფრაქცია ჟორდანიას აზრის ტყვეობაში აღმოჩნდა. ს.-დემ. პარტიის მეორე ფრაქციისათვის და სხვა პოლიტიკურ პარტიებისა და დაჯგუფებათათვის, სოც.-ფედერალისტთა წარმომადგენელის გამოკლებით, ეს დებულება მიუღებელი აღმოჩნდა. ერთხელ კიდევ ბ. ნ. ჟორდანიას ჯოხზედ გადატყდა ეროვნულ ერ-

თობის ბედი. „არა შეეგდა მწყერი ხელიდან, არა იყო გვარი მისი“.

მსოფლიოში შექმნილ რთულმა მდგომარეობამ და საქართველოს საკითხის უპატრონობამ გვაიძულა და დაგვავალდებულა კომისიის მიერ გამოძებნილ დებულებებზედ შეგვექმნა და დაგვეფუძნებინა ეროვნული ცენტრი, სოც.-დემოკრ. პარტიის მონაწილეობის გარეთ. ეროვნული ცენტრი დაარსდა ეროვნულ პოზიციური მოქმედებისათვის; საქართველოს გათელილ უფლებათა აღდგენისათვის. მისი კარები ფართოთაა ღია ყველა ეროვნულ მებრძოლ ძალთათვის. ვიმედოვნებთ, სოც.-დემოკრ. პარტიაში გაიძარჯვებს სალი აზრი და გონება, თავს დაანებებს მისი მეთაურის დიქტატურას და ჩვენთან ერთად ჩაებმება ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ბ-ნმა ჟორანიამ იცის ის გულისტკივილი, რომელსაც განიცდის პოლიტიკური პირადოვნება, როცა ის, საშინაო და საგარეო მდგომარეობის კარნახით და ბრძანებით, მისი წმეგნებისა და სურვილის წინააღმდეგ, იძულებულია ესა თუ ის დიდი ეროვნული აქტი გამოაცხადოს. ასეთივეა ჩვენი გულისტკივილიც ამ იძულებითი აქტისა გამო. საღად მოაზროვნე ქართულ საზოგადოებას უფლება აქვს გვისაყვედუროს მხოლოდ ის, რომ ჩვენი წრიდან ბუნებრივად გამოსულ ეროვნულ ერთობის აზრის განხორციელებისათვის ინიციატივა ბუნებრივადვე ჩვენვე არ ავიღეთ ხელში და კლასთა ბრძოლის იდეოლოგიის მატარებელ სოც.-დემ. პარტიას შევსთავაზეთ.

დაარსებულ ეროვნული ცენტრისადმი ლოიალურ საზღვრებს გადასულ ოპოზიციას არავის ურჩევთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დადგება მომენტი, რომელიც მისი სიძლიერით წაშლის ან დაჩრდილავს ჩვენი შეუურიგებლობის მიზეზს და გაგვაერთიანებს საერთო ეროვნულ მიზნისათვის საბრძოლველად. მანამდე კი ცალ-ცალკე, პარალელურად მოქმედების დროს ისეთი რამ არ უნდა ვქნათ ან ვსთქვათ, რომ მომავალში ერთმა-მეორესთან ნდობით მოქმედება და ბრძოლა ვეღარ შევსძლოთ.

ელ. პატარიძე

ეროვნული ცენტრი უცხოეთში
დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

1950 წლის 19 ნოემბერს, პარიზში — სადაც იმყოფება ქართული ემიგრაციის დიდი უმრავლესობა — შესდგა მრავალრიცხოვანი კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ: ეროვ.-დემოკრატიული, სოც.-ფედერალისტული, სოც.-რევოლუციონური პარტიათა, „თავისუფალ ქართველთა კავშირი“-ს, „თეთრი გიორგი“-ს, ქართველ მხედართა კავშირის და უპარტიოთა ჯგუფის წარმომადგენელნი.

კონფერენციამ მოისმინა ამომწურავი ინფორმაცია, ეროვნული ცენტრის შექმნისათვის ნაწარმოები მუშაობის შესახებ, და ერთხმად დაადასტურა ორი წლის წინ შექმნილი „საკონტაქტო კომისიის“ მიერ წარმოდგენილი პროექტი, ეროვნული ცენტრის დაარსების შესახებ, ერთხმადვე მიიღო მისი პირველი შემადგენლობა და ქვემოდ მოყვანილი დეკლარაცია:

„სრულდება ოცდა-ათი წელიწადი, რაც დამოუკიდებელი საქართველო, — 1918 წლ. 26 მაისის აქტით აღდგენილი, თვით რუსეთისაგან 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულებით ცნობილი და 1921 წ. **დე-ფაქტო** და **დე-იურეთ** ცნობილი დიდ სახელმწიფოთაგან, — რუსეთმა **ხელმეორედ** დაიპყრო. რუსეთმა ყველა დ ა პ ყ რ ო ბ ი ლ ერებს ერთგვარი ფორმალური დამოუკიდებლობა მიანიჭა და ქალალდზედ სრულ უფლებიან წევრებად გამოაცხადა. რუსეთის ეს მოჩვენებითი პოლიტიკა ვერ ჰფარავს კაცობრიობის თვალში მის ბატონობას აღნიშნულ ერებზედ. ამავე ბატონობას ავრცელებს დღეს იმ ერებზედაც, რომელნიც უკანასკნელი ომის შემდეგ მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ.

1921 წელს, სამოქალაქო ომიდან გამარჯვებით გამოსული ბოლშევიკების პირველი მსხვერპლი იყო უკრაინა, საქართველო და მთელი კავკასია. 30 წლის განმავლობაში, ქართველი ერი, შიგნით თუ გარედ, ავჯანყებებით, სიტყვითა, საჯაროა განცხადებითა და **საერთაშორისო კანონით მოპოებულ უფლების ძალით,** ებრძვის მოსკოვის ბატონობას თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად. ქართველი ერი განაგრძობს შეურიგებლობას და ამას ამჟღავნებს ყველა თავის მოქმედებაში. ამ ბრძოლაში მასთან იყვნენ და არიან ყველა ის ერები, რომელნიც მსგავსად საქართველოსი დაპყრობილნი არიან რუსეთის მიერ. უკანასკნელი ომის შემდეგ მომხდარმა ამბებმა მას გვერდში ამოუყენა მთელი აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ხალხები: პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ბალტიის ქვეყნები, რუმინეთი, ბულგარეთი და სხ.

ქართველი ერის ასეთი შეურიგებლობა და მუდმივი მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ არის ხანგრძლივი, ისტორიის მიერ დამუშავებული, და ერისათვის ურყევ კანონად ქცეული ტრადიცია. თუ ადგილობრივ ერს ხელ-ფეხი აქვს შეკრული, სამაგიეროდ უცხოეთში გახიზნულ ქართველობას აქვს საშუალება ხმა აღიმაღლოს ამ ბატონობის წინააღმდეგ; ეს არის მისი მისია და ეროვნული წმიდა მოვალეობა.

უკანასკნელი ომის შემდეგ ქართული ემიგრაცია კიდევ მეტად აღმოჩნდა დაშლილი. ერთი საერთო ორგანოს ხელმძღვანელობის უქონლობის გამო, ყველა მოქმედებს ცალ-ცალკე. ასეთ პირობებში ყველამ ნათლად იგრძნო ერთობის აუცილებლობა. ერთობა შიგნით ქართველთა შორის. მსგავსივე ერთობის დამყარება კავკასიელ მეზობლებთან: ადერბაიჯანთან, სომხეთთან და ჩრდილო-კავკასიელებთან. კავშირის დაჭერა ყველა იმ ერთა წარმომადგენლებთან, რომელნიც მსგავსად საქართველოსი, დაპყრობილნი არიან რუსეთის მიერ. მეგობრული ურთიერთობის დამყარება ჩვენს მეზობელ ირანთან და ოსმალეთთან, რომელთა ინტერესებიც მოითხოვს რუსეთის გასვლას კავკასიიდან. და იმედიც გვაქვს, ეს უკანასკნელნი, ისტორიული გამოცდილების შემდეგ, მხარს დაუჭერენ საქართველოს და მთელი კავკასიის დამოუკიდებლო-

ბას. და ბოლოს ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი მიზნად ისახავს ერთ გაერთიანებულ ორგანოს შექმნას მთელი კავკასიის ერთა წარმომადგენლობისაგან, ერთი საერთო კავკასიური პოლიტიკის საწარმოებლად.

ამ დიდი მიზნების ღრმა შეგნებისა და ნაყოფიერი მოქმედების საჭიროებათა ნიადაგზედ პარიზში შესდგა ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი:

1. აღნიშნულ ცენტრში შედიან: საქ. ერ.-დემოკრატიული, და სოც.-რევ. პარტიათა, თავისუფალ ქართ. კავშირისა, სამხედრო კავშირისა, ქართ. პატრიოტულ ორგანიზაციის და უპარტიოთა წარმომადგენელნი და ყველა ისინი, ვინცა სდგას საქართ. ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განმათავისუფლებელი ბრძოლის ნიადაგზედ.
2. ყველა ზემოდაღნიშნული პარტიები და ჯგუფები ვალდებულებას იღებენ თავიანთ თავზედ, ხელი შეუწყონ ცენტრის მოქმედებას.
3. ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში, იკავშირებს უცხოეთში გახიზნულ ყველა ქართველობას საერთო ბრძოლისათვის.
4. ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში, კავშირს ამყარებს კავკასიის მეზობლებთან ერთი საერთო ორგანოს შექმნის მიზნით, რომელიც თავისი გაერთიანებული მოქმედებით საფუძველს ჩაუყრის კავკასიის მომავალ ერთობას.
5. ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში, თავის საქმიანობას უფარდებს, ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედებათ, რომელნიც სდგანან ერისა და პიროვნების თავისუფლების პრინციპის ნიადაგზედ.
6. ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში, ისახავს აგრეთვე ერთ-ერთ თავის მიზნად, საქართველოს საკითხისა და მისი კულტურის პროპაგანდას უცხოეთში“.

ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში.

ხელს აწერენ:

საპატიო თავმჯდომარე: ბ-ნი გენერალი **გ. კვინიტაძე,**
დამოუკიდებელ საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ყ. მთავარსარდალი.

საპატიო წევრი: ბ-ნი ექიმი **ვ. ლამბაშიძე**

წევრნი: ბ-ნი **ი. გობეჩია, დ. მაჭავარიანი** (სოც.-ფედ.), **რ. გაბაშვილი, ე. პატარიძე, ლ. ზურაბიშვილი, ი. ბაქრაძე, ა. მანველიშვილი, ლ. შარაბიძე.**

მოკლე ხანში ცენტრის შემადგენლობას დაემატება უცხო ქვეყნებში მყოფ ქართველთა ადგილობრივი წარმომადგენელნი.

„კომუნისტი“-ს ქართული ენა და შინაარსი

ბედაურნი დაიხოცნენ, ვირებს დაჰრჩათ მოედანი.

სად მაღალი არსად იყოს, მუნ დაბალი ამაღლდების.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ერის პოლიტიკურ დამონებას თან-ერთვის მისი ისტორიულათ მომდევნო და ხალხის მიერ შეთვისებულ წესთა და ადათთა დაკნინებაც. კულტურულათ მაღლამდგომი ერი მეტნაკლებათ კიდევ იბრძვის შემტკიცებულ თავისებურების შენარჩუნებისათვის, მაგრამ ჟამთა დენაში შეუმჩნეველათ ხშირათა ჰკარგავს ბევრს თავისას და ითვისებს ასევე ბევრს შემოტანილსა და ძალით თავზემოხვეულს. ხოლო როცა უცხო ბატონობა ხანგრძლივდება, ბრძოლის უნარი და გამძლეობა სუსტდება და იშრიტება. რაღა ითქმის განვითარების დაბალ დონეზე მდგომ ერებზე, რომლებიც უმალვე ითქვიფებიან სხვათა სხეულში!

მხედველობაში მისაღები არის ისიც, თუ ვინ არის დამმონებელი და რა ზრახვებით განწყობილია დამონებულის მიმართ. სიტყვა არ უნდა, რომ ყოველი დამპყრობელი თავისი გულისსანადებით მოქმედობს, ნაკლებათ ან სულაც არ დაინტერესებული მოპოვებული ტერიტორიის მცხოვრებთა ჰაზრსა და სულისკვეთებაში. ისტორიაში იშვიათი მაგალითებია, როცა დამპყრობი ხელუხლებლათ უტოვებს მოსახლეობას შინაცხოვრების თავისუფლებას. საქართველოს ხანდაზმულ ისტორიაში არა ერთიდაორი მაგალითი არის იმისა, როცა შემოსული მტერი, ბართალია ცეცხლითა და მახვილით ჰმუსრავდა და აწიოკებდა ქართველთა ძიწა-წყალს, გარნა ინდობდა და პატივით ეპყრობოდა ქართულ სახელმწიფურსა და საზოგადურ კანონებს, ენასა და ხალხურ ადათებსა და ჩვეულებებს. ამგვარივე იყო ქართული ხელისუფლების ყოფაქცევაც იმ ქვეყნებში, რომლებიც ექვემდებარებოდნენ საქართველოს ამა თუ იმ სახით. უცხო ერების ასსიმილაცია არ ოდეს ჰხიბლავდა ქართველ მეფეთა და მმართველთ. ჩვენიანი სარანგის უფროსნი იცავდნენ წესიერებასა და მშვიდობიანობას შემოერთებულ ქვეყნებში, უზრუნველჰყოფდნენ სახელმწიფოს საზღვრებს და ამითი იხაზებოდა მათი დანიშნულება.

რუსეთის იმპერიისადმი საუკუნოებრივი მონობის ხანაში—საქართველო, როგორც თვითმყოფი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, მიებარა წარსულს. მისი სახელწოდება შეჰრჩა მხოლოდღა საეკლესიო ტერმინოლოგიას: საკათოლიკოსო ტახტზე დასმულისა და სინოდის წარმომადგენელის ტიტული იყო „საქართველოს ექზარხოსი“. თვინიერ ოფიციალ მიმართულებათა, ქართული ენა არ იყო სრულიათ აკრძალული, ჩრდილში იყო მოქცეული, უპატიოთ დაშთენილი, უგულებულ ყოფილი. რუსიფიკაცია, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოსანგარიშებული სისტემით ინერგებოდა. სახელმწიფო სკოლებში ადგილი არა ჰქონდა ქართულს, თვინიერ საეკლესიო-სამრევლო სკო-

ლებისა, რომლებშიაც სწავლება მთლიანათ ქართულ ენაზე იყო. ქართულმა სიტყვიერებამა და მწერლობამ შესძლო ქართული ენის სიმწარით შენახვა - შენარჩუნება.

შეუძლებელია ქართული ენის ხელოვნურათ მოშლა და ალმოფხვრა. ქართველი ბევრსამეს დასთმობს, ენისათვის კი უკიდურესი ზომებით წინააღუდგება ყველას, ენას არავის შეალახვინებს, არ დასთმობს... რომში დავესწარი ერთი ცნობილი გეოგრაფისა და ეტნოგრაფის ლექციაზე. მას ემოგზაურა საბჭოთა კავშირში. საქართველოც მიმოევლო. აი რა თქვა მან ქართველებზე: „არსად შემხვედრია სხვა ისეთი ფანატიკოსი თავისი ენისა და ანბანისა, როგორიც არის ქართველი ხალხი“. არა ერთი გერმანელ და ავსტრიელ ლიგვისტისაგან მსმენია განცვიფრება, რატომ არის, რომ ქართველები არ გადავლენ ლათინურ შრიფტზე. არიან სხვა შეხედულებისაც: ერთს უნგრელ ენათმეცნიერს, რომელიც ამ ომის დროს სთხზავდა ინგლისურ ენაზე „შედარებითი გრამმატიკას“ და რომელსაც მუშაობისას დასჭირდა ქართული ენის სათავეთა გაგება, ამ სტრიქონის დამწერი განუმარტავდა ჩვენი ენის გამოთქმასა და მისი გრამმატიკის ელემენტებს; უნგრელი მეცნიერი აღტაცებული დარჩა ქართული ენის მდიდარი ანბანითა და ფონეტიკით. მისი ჰაზრით, ქართული ენა თავისი სპეციფიური აგებულობით, განსაკუთრებული ფენომენია სხვა ენათა შორის. ის დიდათ ღირსია შესწავლისა. ენათმკვლევარი ამ ენას გვერდს არ უნდა უხვევდეს...ო.

მარრი თავის გამოკვლევებს სამწუხაროთ მხოლოთ რუსულ ენაზე სწერდა, რისაგამო ევროპის მეცნიერთა უმრავლესობისათვის შეუმჩნეველნი დარჩნენ მისი ღრმა ჰაზრები და დანასკვი შესახებ ქართული ენის ბუნებისა, ანბანის წყობისა და გრამმატიკული ფორმებისა. მარრი ამბობს: „ქართულმა ანბანმა მოახწია იმ სრულყოფამდის. რაიცა ქართულ ასსოთა ანბატვას ჰქმნის ფონეტიკური სიზუსტის უებრო ნიმუშათ ენის ცხოველ გამოთქმის სისრულით ცადმოცემისათვის“. ქართველებს აქვთ საბაბი თავისი ენისა და ანბანის „ფანატიკოსნი“ იყვნენ. ლათინური ანბანი ჩვენთვის იქნებოდა „ფურცზე **უნაგრის** დადგმა“: რისთვის უნდა ვამახინჯოთ მართლწერა, ასოების ზემო-ქვემო აჭრელებულ „ეერიოგლიფებით“?!

ასჩვიდმეტი წლის რუსეთის საიმპერიო მართველობამ ვერ შესძლო ქართული ენის დაძაბუნება და მოლუნვა. ენის წარყვნა ხარფუხის კინტოებს დაეკისრათ: „კუსოკ - კუსოკ ობლაკ იდოტ მაღლა ცადანაო“..., მაგრამ იქვე ქართულს აზიზათ უვლიდნენ ჰაზირა და ეთქვა გურჯი: დიდო ზარო ჩვენო სიონისაო!

ნატრულნი ვარ შენ დიდებულ ხმისაო...

მთელი წყება ჭეშმარიტ მწერლობისა, ლიტერატორებისა, პუბლიცისტებისა და მგოსნებისა აყვავებდნენ და ამშვენიერებდნენ ენას. მოყოლებით მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედიდან და ასე გასწვრივ ქართული ლიტერატურა აღიმართა კლასიკურ ფორმებში და მოიცა ისეთი სიდიადის ნაწარმოებნი, რომელთაც ქართული სიტყვიერება

მიუთანაბრეს ევროპის მწერლობას. ულხვი შემოქმედების დედაბოძთა და ქართული ენის შვენების მეგაირალტრეთ გამოჩნდა ბუმბერაზი მწერალი, დიდი სწავლული და სახელმოხვეჭილი ეროვნული მოღვაწე ილია ჭავჭავაძე — ქართული მწერლობის გოეტე, ჰუგო, პუშკინი. ნეტავ აროდეს ასცდენოდეს ქართული ენა დიდი ილიას სიბრძნით აღსავსე გამოთქმებს, მონოლიტობას, სიდარბაისლისა და მასთანავე განსაცვიფრებელი სიადვილესა და მარტივობას!

ჟამთა დენაში საქართველო წაზნიქა შესხვაფერებულ რუსეთის ულელმა. გასაბჭოებული, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, გამოსკოვებული ქართული მწერლობა ჩემთვის უცნობია. წაკითხული მაქვს მხოლოთ გრიშაშვილის ზოგიერამ და მთლიანათ ბოლშევიკებისაგან მსხვერპლათ მიტანილის ჩემი მეგობრის მიხეილ ჯავახიშვილის ენაქარგული რომანები. ესეს არის ხელითამხვდა ქართული „კომუნისტი“, ნაშვილები მოსკოველ „პრავდისა“ და მისი „ფონოგრაფი“. ნომრები ახალთ-ახალია — მიმდინარე ზაფხულისა; უნდა გამოვტყდე, ერთგვარი მლელვარებით შევუდექი ქართული ასოებით აწყობილის, ჩემთვის დაკარგული ქვეყნის გაზეთის გადაფურცვლას. ბევრითაგან მსმენია, რომ საბჭოთა საქართველოში ქართული ენა ლამაზდება და მდიდრდება. ასე რომ, ვიფიქრე, ორმოციოდე ნომერი ამ გაზეთისა შემმატებს ახალს, ჩემთვის მიუხვედრელ სიტყვას, გააფართოებს ჩვენ—ჩამორჩენილთა—ნაკნიან ტერმინოლოგიურ მასალას, მაგრამ იმედი გამიცრუვდა.

ეხლა ვნახოთ როგორია ის ქართული, რომელსაც „კომუნისტი“ გვაწვდის. ეს არის მონური გადმოღება რუსული ტერმინებისა და ისიც თარგმნელის საკუთარი გაგებით. ამ გაზეთის „მართლწერა“ უშნო და ბრიყვულია. აი მაგალითათ: გაზეთი სწერს „ბრძანებულებას“, რუსული „პრიკაზ“, სად ან ვის გაუგია ასეთი ტლანქი ქართული. როდესაც გვაქვს სიტყვა „ბრძანება“? ან აიღეთ სიტყვა „დამწერლობა“, ყოველათ მოუხერხავი, უთუოთ ნათარგმნი რუსული „პისმენოსტ“-ისა. ქართველ კომუნისტებს უბრძანეს მოსკოვიდან, რომ გაარდახდილი ომი ალინიშნოს „ოტეჩესტვენნაია ვოინა“-ით, და უმეცარნი სწერენ „სამამულო ომი“. რასა ჰგავს ეს? ჩვენ გვსმენია სამამულო დავა ორ მოქიშპე განაყარითა შორის გასაყოფ მამულის თაობაზე. ან სად მოაგონდათ ეხლა „მამული“? მამულწართმეულ ხალხს გულს რალაზე უხეთქავენ „მამულის“ გახსენებით! „კომუნისტში“ წამდაუწუმ წააწყდებით ისეთს რეგვენულ გამოთქმას, როგორც მაგალითათ „რეკომენდებული“, „ობივატელი“, „სოვეტპეჩატი“ და სხვა, ერთს წერილში შევნიშნე სიტყვა „ალმავლობა“, და ტექსტს რომ დავუკვირდი, მივხვდი, რომ ეს არის გადმოღებვა რუსული „რაზვიტიე“-სი. საიდან სადაო, წმიდაო საბაო! „რაზვიტიე“ არის განვითარება, ხოლო „ალმავლობა“ უფრო ეთანაბრება რუსულ „ვოსხოჟდენიე“-ს, ან „ვოსპრიანნოსტ“-ს. სადაც „ალმაა“, იქ არის „დალმაც“: „ალმართში მე ვაჯობე, იმათ თავდალმართშიაო“; „კახელების **ალმა** ხნული, ქართლელებმა **დალმა** ჰფარცხეს“? საქართველოს დედოფალი, დედა ქართლისა თამარი, სიმშვენიერით მოსილი, **ალმომავალი** მზის დარი“... „ალმავლობა“ და „დალმა-

ელობა“ ქართულ ლექსიკონში სულ სხვა მცნებას ალნიშნავენ, და არა იმას, რასაც „კომუნისტი“ მაიმუნივით ჰკრეფს რუსულიდან. ყოველ ენაში არის საკუთარი შესატყვისი ტერმინი უცხო ენის მცნებათა გამოსახვისათვის. მორფოლოგიურათ შეიძლება სულაც არ ეთანხმებოდეს ამა თუ იმ უცხო ტერმინს, ხოლო იმავე ჰაზრს შეიცავდეს. მაგრამ საკმ ლაზათიანი ქართული, და საკმ მოსკოვის შეგირდების ატიტინებული ენისკვნეტა!

უცოდინარნი ჭაბუკნი ჩალათ არ ეღირებიან...

— ჭკუა უხმარ არის ბრიყვთათვის, ჭკუა ცოდნით მოიხმარების...

შესაძლებელია ქართველ-კომუნისტის, ან მიტმასნებელ „შიშისა გამოუურიათასა“ მწერლების ნაწერებში სულ სხვა ქართული, მაგრამ ჩიტირეკია ნანიტაშვილის გაზეთის ყარგონს მე ვირჩევდი სიტყვა-მოსწრებულ კინტოების შაირებს. ამასაც თქვენი ჭირი წაულია. ეს ნუ დაგანაღვლებთ: ქართული ენის სიფაქიზე და სიმტკიცე დაცული არის ჩვენს ეკლესიურ მწერლობაში. ნანიტაშვილების ბოლშევიკური „პროკრუსტის საწოლი“ ამ ენას ვერ შეეხუბა: წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო...

მაგრამ არ იკითხავთ, საერთოთ ვინ დოვლათის პატრონია გაზეთი „კომუნისტი“? მეთაური თითქმის მუდამ არის თარგმანი ამ გაზეთის „მამობილის“, კომუნისტური ხაზის გამყვანი „პრავდისა“. ტექსტი? ვაი მკითხველის ბრალი, თუ მას გვერდით ტაშტი არ უდგა! ეს ნომრები, მე რომ მხვდა სატანჯველ წილათ გადამეთვალიერებინა, თითქმის თითო გვერდს საუბილეო მილოცვებს „ხალხთა მამისადმი“ შეიცავენ. უამრავი მილოცვები მისდით მეფეებს, პრეზიდენტებს, წარჩინებულ მოღვაწეებს, მწერლებს, მაგრამ ვის მოუვა ჭკუაში, რომ ამისთვის მოაწნიქონ გაზეთის ფურცლები? გაარა მჩატე რეკლამაზე და ყელის ამომშრობ ლრიალზე აგებულ საბჭოთა დიქტატურისათვის საჭირო ყოფილა გამუდმებული მანიფესტაციები. დედამიწის ზურგზე არ დარჩენილა ადგილ-მიწა, რომ არ გადაეგზავნოს მოსკოვში უქვეშევრდომელის გრძნობა: კოლხოზები, სოვხოზები, პარტიული ყველა ჯურის ორგანიზაციები, მოსკოვის ჩიხში მომწყვდეული „ნაციონალი“ კრთეულები, მეცნიერები, მოხელენი, ქარხნები, უცხო სახელმწიფოებში მიმობნეულნი „მეხუთე კოლონები“, ჩინეთის ბაზაზები და ხარაზები, სიამის სპილოების გამზედნელნი, ინდოს ბველთა მწვრთნელნი, ალაბეთის მუყრნი და მულიმნი...

მოტყვილებული დარჩებით, თუ გაიფიქრებთ, რომ ზეწრის-ტოლა „კომუნისტში ისეთს რამეს წააწყდებით, რაიცა ადამიანის გონებას სულ ცოტა-რამეს შეეშმატებდეს. ამაო ცდაა. ტიპიური წერილები ასეთია: წეევეკიბრნეთ ალმავლობაში (აქ რუსულათ ალბათ იქნებოდა: „დოსტიჟენიე“ ან „ვიპოლნენიე“), გავაფართოოთ მშვენიერება, მეტი ყურადღება კოლხოზებს, ქუთაისის სოვეტპეჩატი, მივბაძოთ ლაგოდეხის სტახანოველებს, ალმავლობა სენაკის მაზრის კოლმეურნეობაში, დუშეთის კოლმეურნეობამ გამოიწვია შეჯიბრებაში გორის კოლმეურნეობა... და ასე დაუმთავრებელი ამოწოვნა ტვინისა. მაგრამ არც ესა

�ar. „კომუნისტი“ თურმე ჩეკის განყოფილება ყოფილა: დასავლეთ საქართველოში ერომელიღაც კოლმეურნეობაში აღმოუჩენიათ „გენერალური ხაზიდან“ გადახვევა, ერთგვარი მავნებლობა. ამუშავებულან ინონიში დამბეზღებლები რედაქციის სახელზე. მყისვე გაქანებულა თანამშრომელი, მოუხსნია გამგე, წაუთრევია საპყრობილეში და საქმე გადაუცია პროკურორისათვის: გაზეთის კორესპონდენტი ატუსაღებს, პროკურორმა კი შემდგომ უნდა გამოიძიოს! რა არის ეს, თუ არა საგიჟეთი?! არა გჯერათ? თუქუჩმიწაში (ეხლა წითელი წყარო: საგიჟეთში წყალიც გაწითლებულა) ერთი ჩიხტაკოპიან მანდილოსანს ოფლისდენით გამოუწვეულია რამდენიმე კოვზი ზედმეტი რ.ს. აფორიაქებულა საგიჟეთი. „სტახანოვკას“ მკერდზე ორდენი მიაკრეს. ერთს ლაგოდეხელს ორიოდე ყლორტი თამბაქოს ფოთოლი დაუმეტებია ნორმაზე. იმასაც ორდენი მიაბეს. ორდენები და მენდლები კომუნისტურ „ბედლამში“ ტონობით მზადდება. ვინ გინდა, რომ ამ ბრინჯაოთი არ იყოს შემკული! ჰოტტენტოტებსაც ერთობ უყვართ ზიზილ-პიპილოებით ტიტველი ტანის მორთვა... ორდენშემოსილთა სურათებით აჭრელებულია გაზეთი. მათ ცალკე ეგზავნებათ „გრამოტა“ „საბჭოთა გმირის“ დასახელებით. ესეც მონური მიბაძვა რუსული „გეროი“-სა ქართულათ გმირს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს: გმირი — ამირანი, ტარიელი, ავთანდილი, ერეკლე მეფე... თამბაქოსი და ბოსტნის გმირი? საქონლის თავლის გმირი?

ერთს გუმანზე კიდევ შევჩერდები და ამით დავასრულებ მკითხველისაც და ჩემსსულიერ დაქანცვას: „კომუნისტის“ ერთს ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი დროის „უდიდესი ლინგვისტის“ სტალინის უშველები წერილი შესახებ ენათმეცნიერებისა. ეს „ფილოლოგიური“ გამოკვლევა, თავისთავათ ცხადია, მოსკოვის „პრავდიდან“ არის ნათარგმნი. გენერალისიმუსი ისე ხომ არ დაქვეითდებოდა, რომ ქართულ პროვინციულ გაზეთში მოეთავსებინა თავისი „სამეცნიერო შრომა“! მიხაკო წერეთელი უნდა შიშობდეს: სად გაექცევა ამ დიდ კონკურენტს ენათმეტყველობაში! რასა ისწერს ეს უნივერსალი ყოველმხრივ, ამხნობამდის ლინგვისტიკაში „უჩინ-მაჩინის“ ქუდებში ჩამალული? საქმე ეხება ნ. მარრის ენათმეცნიერების თეორიას. ნორმალ წესებზე აგებულ ქვეყნებში ასეთ საკითხებისათვის არსებობენ ასეთივე ნორმალური წესები: მეცნიერს ეკამათება მეცნიერივე, ან ეთანხმება, ან არეთანხმება, ან აქებს, ან ჰგმობს. პოლემიკა მათ შორის ისაზღვრება და მათშორისვე თავდება. გიჟეების საამყოფელოში ლინგვისტიკაც მიბმული ყოფილა კომუნისტების აყალმაყალურ სიბნედეზე. ასე და ამგვარათ მარრის იაფეტურსა და საერთოთ ფილოლოგიურ გამოკვლევებში სტალინისა და მის დუდუკზე მხტუნავთ თავლში სცემიათ „მავნებლობა“, და გაცემულია სასტიკი ბრძანება: ენათმეცნიერების ფაკულტეტებზე არამც და არამც არ იყოს ხსენებულიმარრის სახელი! საბრალო მარრი: ის წელებზე ფეხსიდგამდა, რომ რამენაირათ მთელის ძარღვებით მიჰტმასნებოდა კომუნისტების მიერ შეხინხლული ახალ „სოფლხედვას“, ირჯებოდა მათ სასიამოვნოთ გამოენახა თავის თეორიისათვის მატერიალის-

ტური ბაზა, და ბოლოს იქამდისაც კი მიექანა, რომ ენათა წარმოშობა და ისტორიული მათი განვითარება „საწარმოო ძალთა“ გავლენაზე დაასკუპა! მარრის ენათაცოდნისა და შეთვისების თეორიის მთავარი მოხაზულობა უარყოფილია ევროპის მკვლევართაგან. იაფეტიდოლოგიის თეორია არსებითის დანასკვნში დაწუნებულია, ზოგთაგან მთლიანად უკუგდებულია. მარრის თეორიასთან დაკავშირებულ საკითხების გაშუქებაში დიდი დახმარება გაუწია უცხო მეცნიერებს მიხაკო წერეთლის კრიტიკულ გამოკვლევებმა. მეცნიერებას არ ესაჭიროება „ბელი-ალას“ გამყვირალ კომუნისტების დაგვიანებული სანქცია და აკრძალვა. არსამდომიც შესწავლას მოითხოვს. აკრძალვა სისუსტისა და ჭკუის სილაყის მაჩვენებელია. მარრის სიცოცხლის დროს, ეს უმეცარი ხალხი მას ცამდის ამაღლებდა. ეხლა გაუწყრნენ. და საბჭოთა ცხვრის ფარა დარეტიანდა, მიყუჩდა. მარრს თურმე საკვლევით არ მიუღია მარქს-ლენინის დაჟანგებული მატერიალიზმი. გაჩხრიკ-გამოჩხრიკეს და „მავნებელთა“ სიაში ჩაურთეს. მისი ნაწერები მთლიანათ ინდექსში მოექცნენ. მარრი გარდაიცვალა თექვსმეტი წლის წინათ. კარგი ჰქმნა: ტურუხანში „მგზავრობა“ არ ასცდებოდა.

აშმორდა ბედკრული ჩვენი სამშობლო. წყვდიადით დაიბურა მისი სახე, ჟამთა მცინარი. მოსკოვის შხამში ადუღებულნი არამზადნი ჰღრღნიან და ჰფლეთენ ქართველის გულს, ჰფიტავენ და ჰშრეტენ მის სულს. ხალხი პირაბმულია — ჯავრშემოყრილი, შუბლნაკვთიანი სასოწარკვეთილი. ნავარდობენ მოსკოვის ყურმოჭრილი პირუტყვი ხიზნები — მშობელ ქვეყნის გამცემლები, ერის ამწიოკებელნი, მის წმიდა გრძნობათა წამბილწველნი, თვითონ ჩაჩოქილნი საქართველოს დამთრგუნველთა წინაშე!

ნათელავ ამოიტირე: შორიდან შემოგვეპარა
მტერი, ვით ტურა-მელაო,
და სულ სხვა ხმებზე გვამღერებს...

რ. ინგილო

მარქსისტული სოციალიზმი და მოდერნული ტირანია

„იშვიათია რომ თავისუფლება ერთი ხელის
დაკვრით მოისპოს“. **დ. ჰერმე**

ადამიანს, როგორც მოაზროვნე არსებას, თან გააჩნია ერთი უძლიერესი იარაღი — იდეათა ძალა. ამ ძალას ის მიყავდა გამარჯვებისაკენ და საუკუნეთა გასწვრივ ბუნებისა და ადამიანის მიერ დადებულ ხუნდებიდან თავს ინთავისუფლებდა. იდეა მაშინაა ძლიერი და მომქმედი, როდესაც მას თან ახლავს გრძნობა და ადამიანის გულსა და სულშია შეჭრილი. ამშემთხვევაში ის — რწმენათ ქცეული — უძლეველი და დამფუძნებელი ძალაა. მიზანშეწონილი, საღი და სა-

მარადიანი იდეები მუდამ კაცობრიობის ევოლიუციის საფუძველი იყო. ყოველგვარი მოქმედების ღერძი ზომიერი თავისუფლებაა. თავისუფლების იდეისათვის ბრძოლა — რომელიც რწმენათ გადაიქცა — ხშირათ უსისხლო და სისხლიან რევოლიუციებს იწვევდა.

მე-19 საუკუნიდან მდგომარეობა რადიკალურათ იცვლება. ამერიკის შეერთებულ შტატების კონსტიტუციამ, საფრანგეთის რევოლიუციამ და მოდერნულ ინდუსტრიალიზაციამ არაჩვეულებრივი იმპულსი ქმნა თავისუფლების იდეას. ყოველ დემოკრატიულ ქვეყანაში პროგრესიული ელემენტები პოლიტიკურ პარტიებში იყრიდნენ თავს, რომელთა მიზანი იყო — პირად თავისუფლების ბაზაზედ — ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრების მოწყობა. დემოკრატიული იდეები კულტურულ და დაწინაურებულ ქვეყნებში ღრმათ ფესვებს იდგამდა და მან მის დღევანდელ ასაკამდე მიაღწია. ის კიდევ თავის განვითარების სტადიაში იმყოფება.

იქ სადაც გონება და აზროვნება იდევნება, ხელისუფლებასა და ბატონს ემორჩილება, იქ თავისუფლება არ არსებობს — ადამიანი დათუოგვნილია. „რატომ არ უნდა ვისოკრატოთ სულ აზროვნებითა და თავისუფლათ?“ — კითხულობდა რამიუსი. თავისუფლათ აზროვნება და მოქმედება შეიძლება მხოლოდ დემოკრატიაში. იქ სადაც დემოკრატია არ არსებობდა, ხშირათ სოკრატობისათვის თავს კვეთდნენ. ევროპის ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ **სუსტი დემოკრატია არსებობს** სოკრატობისათვის თავს არავის კვეთენ. ამით უხვათ და ბოროტათ სარგებლობენ დემოკრატიის მტრები — მარქსისტები — „სოკრატობენ“ და თვით დემოკრატიის იარაღით დემოკრატიას ებრძვიან. აბა წაბრძანდნენ მარქსისტულ დიქტატურის სამყაროში და იქ ისოკრატონ! სოკრატს სოკრატობისათვის სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. სოკრატობისათვის პლატონი მონათ უნდა გაეყიდათ, ქრისტე ჯვარზედ აცვეს, თომა მორის თავი მოჰკვეთეს... ბერკენი და დოლე ცეცხლში დასწვეს და თვით რამიუსი სოკრატობისათვის მოჰკლეს.

საქართველოში დღიდან მარქსიზმის გაჩენისა — სოკრატობისთვის — ქართულ აზროვნების ვარსკვლავი დიდი ილია მოჰკლეს... კოტე ფხაზი აწამეს და საქართველო ჯვარზედ აცვეს. ვის ააქვს დღეს ის გამბედაობა და უფლება, მარქსიზმით დაპყრობილ ხალხს, მის მიერ ბისხლიდან დაცლილ, დაკოდილ და ჭრილობებით სავსე სხეულს მარილი აყარონ და ციანიკურათ ხალხს კვლავ მარქსისტულ სოციალიზმისა და „კომ. მანიფესტი“-საკენ მოუწოდოს? აი ამის გამბედაობა აქვთ „ჩვენი დროშა“-ს ანონიმებს „ძველს“ და „ახალს“. სადაც „ძველი“ წარბშეუხრელათ ამტკიცებს, რომ რუსეთში მარქსიზმმა კი არა, რამედ „გახრწნილ დემოკრატიამ მოგვცა ტირანია“ და „ახალი“, რომელიც გაუწითლებლად აცხადებს, რომ „ბოლშევიზმს მარქსიზმთან რაფერი საერთო არ აქვს“-ო. რა არის ეს? დემაგოგია თუ ნილბი? რითიცა და მეორეც, რადგან ჯერ ერთი, რომ რუსეთში დემოკრატია ოდეს დროს არ არსებობდა (და ის რაც ეს არსებობს არც იხრწნება და რავითარ რეაქციას არ იწვევს) და შემდეგ, როგორც ქვემოთ დავინა-

ხავთ — საბჭოთა ტირანიის წარმოშობის პირდაპირი წყარო მისი მოსახლეობის უკულტურო მასსა იყო და მეორეს მხრივ თვით მარქსისტული სოციალიზმი

მარქსის მიხედვით სოციალური რევოლუცია ევროპის განათლებულ ქვეყნებიდან უნდა დაწყებულიყო. მარქსის პროგნოზი არ გამართლდა, **მართალი** გამოდგა გერცენი, რომელიც მარქსს უმტკიცებდა, რომ: „პირველი ქვეყანა, რომელიც კომუნიზმს დაამყარებს და პირველივე გადავა შეტევაზედ უნივერსალურ კომუნიზმის დასამყარებლათ იქნება რუსეთი“ *). რას ეყრდნობოდა გერცენი, როდესაც ამას უმტკიცებდა მარქსს? ის ეყრდნობოდა რუსის ხალხის ისტორიას, მის დაბალ კულტურას და ფსიხოლოგიას. როგორც გერცენი ისე ლენინიც დარწმუნებული იყო, რომ დიქტატურისა და სოციალიზმის განხორციელება შეიძლებოდა მხოლოთ ჩამორჩენილ და დაბალ კულტურის ხალხებში. ამისათვის რუსეთი — რომელმაც რვაასი წლის ვარიაგების და სამასი წლის რომანოვების ბატონობა ვიტანა, მორჩილებას შეჩვეული და ორი ათასეულ წლის თავისუფლების კულტს მოკლებული — საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენდა. ბატონყმობა ევროპის ქვეყნებში მეთოთხმეტე - მეხუთმეტე საუკუნეში იქმნა გაუქმებული, რუსეთში კი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში — ოთხი საუკუნით უფრო გვიან — და ფაქტიურად მეოცე საუკუნის ვარიერაჟამდე მოაღწია. მას არ გაუვლია ის კულტურული საფეხურები, რომელიც დემოკრატიულ ინსტიტუტისათვისაა სავალდებულო. ამიტომ რუსეთის ზღვა მოსახლეობა გლეხი თუ არა გლეხი, ბატონი თუ ყმა რევოლიუციის მეორე დღეს სასწაულით ვერ გადემოკრატდებოდა «Homo Ferus» «Homo democraticus»-ათ ვერ გარდიქმნებოდა. **დემოკრატიის დასამყარებლათ საჭიროა მთელ რიგ საფეხურების გავლა და თაობათა აღზრდა. თებერვლიდან ოქტომბრამდე ეს სასწაული ვერ მოხდებოდა და წერა-კითხვის უცოდინართა იმპერია ჯერ ნამდვილ** და შემდეგ „გახრწნილ“ დემოკრატიათ ვერ გადიქცეოდა. ამიტომ „ძველის“ მიერ მტკიცება, რომ რუსეთში „გახრწნილ დემოკრატიამ მოგვცა ტირანია“—სიტყვის თამაში, ლიტერატურაა და არა სერიოზული ისტორიულ-სოციოლოგიური ანალიზი. „ძველი“ ცდილობს მარქსისტულ სოციალიზმის ტირანიის წარმოშობა რუსეთში, პლატონის „გახრწნილ“ დემოკრატიის ნიადაგ ქვეშ გაასაღოს. სად იყო რუს. დემოკრატია, რომ თებერვლიდან-ოქტომბრამდე—„ქუჩაში დაგდებულ ხელისუფლებას“ დაპატრონებოდა?? ის არ არსებობდა. ამიტომ ჩხეიძის თუ კერენსკის „დემოკრატიულ“ მთავრობებს ეს ძლიერი საყრდენი და დამცველი ძალა გამოცლილი ჰქონდა. უდემოკრატიოთ დემოკრატიული მთავრობა ვერ იარსებებდა. დემოკრატია თვით იცავს თავის თავს, თავის მთავრობას და მთავრობა კი თავის ამომრჩევთ—ხალხს. სხვა მისი **დამცველი ძალა** არ არსებობს. ამიტომ „ძველი“ **სრულიად უსამართლოდ** სდებს ბრალს მაშინდელ „მოღვიძეებს“ (ტერმინი ძველისაა) — სოციალისტებს — რომ იმათმა

*) იხ. V. Overbergh. K. Marx, ტ. I, გვ. 269.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატია არ დაიცვენ. ულოლიკო, მაგრამ უფრო საფუძვლიანი იქნებოდა, რომ „ძველ“-ს მათთვის ბრალი დაედო იმაში, რომ იმათმა ვერ შესძლეს ამ არა დემოკრატიულ ქვეყანაში — უდემოკრატიოთ დემოკრატიული(?) წეს - წყობილება შემოეღოთ.

„ძველი“ ამბობს, რომ: „რევოლუციის პირველ პერიოდში მთელი ხალხი ქალაქის და სოფლის იყო მომხრე დემოკრატიულ მთავრობის და მასზედ ამყარებდა დიდ იმედებს. ამ იმედებით გაკრუებული ის იწყებს მისგან ჩამოშორებას... ხალხი ტოვებს თებერვლის რევოლიუციას და ემხრობა ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებას“-ო (აფსუს რა დემოკრატია ყოფილა?). აქ მოყვანილი არც ერთი დებულება სისწორეს არ შეიცავს, რადგან: 1. „რევოლიუციის პირველ პერიოდში მთელი ხალხი ქალაქის და სოფლის“ არ იყო გათვითცნობიერებული და პოლიტიკურათ მომზადებული. მოსახლეობის 85% ცხოვრობდა სოფლათ, რომელიც წარმოადგენდა წერა - კითხვის უცოდინარ გლეხთა მასას. მას არაფერი ესმოდა არც დემოკრატიისა და არც სოციალიზმის და რევოლიუციის პირველ პერიოდში მისთვის არაფერი უკითხავთ. 2. მოსკოვში და პეტროგრადში ანარქია იყო გამეფებული, დაშლილ ფრონტიდან გახრწნილ ჯარის - კაცთა ბრბო ბობოქრობდა და დემაგოგთა საუკეთესო იარაღათ იყო ქცეული. 3. ლენინმა და მის „მაგრათ შეკრულ ჯგუფმა“ — კომ. პარტიამ ოსტატურათ, დემაგოგიითა და დაპირებებით ქალაქის ბრბო და „სოლდატჩინა“ მიიმხრო (და არა ხალხი) და ამ შეიარაღებულ ბრბოს საშუალებით ხელისუფლება ხელში ჩაიგდო. ამიტომ „ძველის“ მტკიცება „ხალხი ტოვებს თებერვლის რევოლიუციას და ემხრობა ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებას“ — **არის მძიმე ბრალდება** რუსის ხალხისადმი, რომელმაც მილიონობით მსხვერპლი გაიღო ბოლშევიკურ ტირანიასთან ბრძოლაში. „ძველი“ განაგრძობს და ასკვნის: „პლატონის სიტყვები გამართლდა, დემოკრატიამ მოგვცა ტირანია“-ო. დასკვნაც არაა სწორი, რადგან როგორც დავინახეთ რუსეთში ჯერ ერთი, დემოკრატია არ არსებობდა და ტირანიასაც ვერ მოგვცემდა და მეორე — პროფ. ჰაიეკის გამოთქმა რომ ვიხმაროთ — „პლატონის კეთილშობილ სიკრუეს“ „ძველი“ უკრიტიკოთ ღებულობს და ანტიურსა და ახალ დემოკრატიას ერთსა და იმავე ჯაბში აბავსებს.

თუ კი ანტიურ „დემოკრატია“-ს თანამედროვე დემოკრატიის პოლიტიკურ და ეკონომიურ შინაარსის მიხედვით მიუდგებით, ჩვენ დავინახავთ, რომ ძველ საბერძნეთში დემოკრატიის მსგავსი არაფერი არსებულა.

რას წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატია? ჩვენი ისტორიის უკახასკნელ პერიოდში, ხშირათ არჩევნებში დემოკრატები იმარჯვებენ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი ხალხი ამა თუ იმ ქვეყანაში თავის აღზრდით და შეგნებით დემოკრატიულ სრულ - წლოვანებას იყოს მიღწეული. დემოკრატიულ მართველობის განსამტკიცებლათ საჭიროა აღზრდილი, შეგნებული და კულტურის მქონე ხალხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ეს ასე არ არის და ის დემოკრატიულ სრულ-წლოვანებასაა მოკლებული, საკმარისია შინაურ თუ საერთაშორისო მდგომარეობით გამოწვეული პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისები, რომ თანამედროვე დემაგოგმა ისარგებლოს და სხვა და სხვა დაპირებებით ხალხი აიყოლიოს და ტირანიაში გადაგდოს.

დემოკრატიის პრინციპებს შეიძლება ეზიაროს ის ადამიანი, ვისაც მოქალაქეობრივი შეგნება და საზოგადო ინტერესთა გაგება და მომზადება აქვს. „დემოკრატია — ისე, როგორც ყოველი მაღალი კულტურა და ცივილიზაცია — არის ერთნაირი ლიუქსი, რომლის გაგება და დაფასება შეუძლია მხოლოთ მათ, ვისაც საკმაო განათლება და აღზრდა აქვს და მისი განხორციელება შესაძლებელი ხდება მაშინ, როდესაც ადამიანის ყოველდღიური პრიმიტიული მოთხოვნილებაა დაკმაყოფილებული“ — ამბობს ემერი რევე *). **დემოკრატიის მიზანია ტოტალური, სრული დემოკრატიული ადამიანი** (ჰომო - დემოკრატიკუს). ამ საფეხურამდის კაცობრიობა ჯერ კიდევ შორსაა. შორსაა, რადგან ჯერ-ჯერობით ყველაზე უფრო განათლებულ ერებშიაც ადამიანის მოდგმა არ შესდგება მასიურათ დემოკრატიულ ინდუვიდუმთაგან. და იმდენათ რამდენათაც მეტია არა დემოკრატიული ელემენტები, იმდენათ ის ბრბოს უახლოვდება და დიქტატურასა და ტირანიას მეტი გასავალი აქვს. დიქტატურისა და ტირანიის გამნოყიერებელი და წარმომშობი — რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის სამარცხვინო ლაქაა — სწორედ, რომ ეს ბნელი, უკულტურო და დალარიბებული მასაა, რომელიც თანამედროვე დემაგოგის მატყუარა ფრაზეოლოგიას ხალას სიმართლეთ ლებულობს. იქ, სადაც ხალხი გათვიცნობიერებულია და დემოკრატიულ საფეხურზედ სდგას, იქ დემაგოგს გასავალი არ აქვს და დიქტატურისა და ტირანისათვის სრულიად უვარგის ნიადაგს წარმოადგენს. დიქტატურა — წითელი, შავი თუ თეთრი — მოქმედობს მათრახით, ძალით, წიშით, ტერორით და ყოველთვის მოსალოდნელია სახელმწიფო და ხალხი საომარ ავანტიურაში გადაჩეხოს. დიქტატორი მოწოდებულია ბრძანებლობისათვის. მას წყურია ხელისუფლება და მის ასაღებათ თუ შესანარჩუნებლათ მზათაა ხალხი ვაჟლიტოს და საპყრობილეები აავსოს. მისთვის არც პიროვნული და არც ეროვნული თავისუფლება არსებობს და მზათაა პატარა და დიდ ერებს ხელსაყრელ მომენტში მუსრი გაავლოს. დემოკრატია კი, მოქმედობს შეგნებით, ყოველგვარ ავანტიურის გარეშე, ხელმძღვანელობს საერთო ინტერესებით. მისი მიზანია ადამიანის სრულ ღირებულების იდეის განაღდება, პიროვნული და ეროვნული თავისუფლება.

რას წარმოადგენდა ანტიური დემოკრატია? პლატონი ამბობს, მონარქია გადადის ოლიგარხიაში, ოლიგარხია დემოკრატიაში, დემოკრატია ტირანიაში და შემდეგ პირუკულმა. „ძველიც“ ამ ციკლთა თეორიას იზიარებს. მაგრამ პლატონის, არისტოტელის და პოლიბის ციკლები არ შეიძლება ისტორიულ მომქმედ კანონთა ფატალურ გამოსახულებათ

*) იხ. Emery Réves — Manifeste democratique, გვ. 34.

ჩაითვალოს. მუდმივ განმეორებითი ისტორიული ციკლები დღეს უფრო პოეზიის სფეროს ეკუთვნიან, ვიდრე მეცნიერულს.

მაკიაველი და მისი მიმდევრებიც ამ ციკლთა კანონით ზომავდენ ისტორიას: მოვლენათა გაურკვევლობაში მხოლოდ ციკლთა მუდმივობა არსებობდა — გადაგვარებულ დემოკრატიიდან აუცილებელ რეაქციის ძალით გამოდიოდა ტირანია .... აქ მაკიაველის კოსმოლოგია მხოლოდ ძველ თვალთმაქცურ რწმენით იკვებებოდა, „ძველი“-ც მას კვერს უკრავს და ამბობს: „ყველა ტირანია, რომელიც კი არსებობდა ძველათ თუ ახლათ, მსოფლიოში მუდამ მომდინარეობს ერთი და იმავე წყაროდან. ეს წყაროა დემოკრატია. რატომ?“ — კითხულობს „ძველი“, თურმე იმიტომ, რომ ამას ამბობდა პლატონი. მაგრამ პლატონის „დემოკრატია“, როგორც ქვევით დავინახავთ, ხომ თანამედროვე დემოკრატია არ იყო. საერთო ამ ორ დამოკრატიას მხოლოდ სახელი ჰქონდა. მაშინდელი დემოკრატია ბრბოს წარმოადგენდა და ამ ბრბოს დაბმარებით ტირანია მეფდებოდა. ამ მხრივ დღეს არაფერი შეცვლილა — ისე როგორც ძველ საბერძნეთში აგრათვე ახალ დროშიც ტირანიის წყაროა გაუნათლებელი, უკულტურო მასა—ბრბო და არა დემოკრატია.

როდესაც ჩვენი დროის ისტორიკოსი და სოციოლოგი ე. ჰალევი თანამედროვე სოციალისტურ ერას—სამართლიანათ—ტირანიის ერას უწოდებს, მასმხედველობაში ძველ საბერძნეთის ქალაქთა ტირანიის ფორმაცია აქვს. ძველ საბერძნეთში **ტირანია იყო მონარქიისა და არისტოკრატიის საწინააღმდეგო ფორმა.** დემაგოგი, მომავალი ტირანი — თავისუფლებისა და სოციალურ რეფორმების დაპირებით — ბრბოს იმხრობდა და ხელისუფლებას ხელში იგდებდა. თვით არისტოტელეც ხომ გვეუბნება, რომ **„ტირანია იყო დემოკრატიის უკიდურესი ფორმა სადაც ერთი პიროვნება და მისი ჯგუფი დაკავშირებული იყო რამოდენიმე გავლენიან პირებთან. დანარჩენი იყო ბრბო (foules), რომელიც მათ მიჰყვებოდა“.**

ტირანს ძველს საბერძნეთში მორალური მნიშვნელობა არ ჰქონია. ის უბრალოთ მეთაურს, მართველს ნიშნავდა. დამამცირებელი მნიშვნელობა მას მიეცა, როდესაც უკანონო მმართველი უზურპატორი გაჩნდა და მართავდა „არბიტრალურათ“ — თვითნებობით. ეს მეთაურნი უმეტეს შემთხვევაში დემაგოგები იყვნენ — მდიდრებისა და არისტოკრატიის წინააღმდეგ (არისტოტელი). ისინი, როგორც დღევანდელი სოციალისტები ხალხს ორატორულ მჭერმეტყველობით, მიწას, დიდ საკუთრებათა განაწილებას, გადასახადების მოსპობას და ვალების გაუქმებას პირდებოდნენ. მოტყუებული ხალხი მათ ემხრობოდა და დემაგოგი კონსტიტუციას აშხობდა. „დემოკრატია, რომელთაც მდიდრები უდგა სათავეში იყო უხეში ოლიგარქია, ღარიბთა დემოკრატია კი ტირანიათ იყო გადაქცეული... თუ მდიდრებს ჰქონდათ ხელისუფლება ნიშნავდა თავისუფლებას თუ ღარიბებს — იყო ტირანია — ამბობს ფუსტელ დე კულანჟი (Histoire des istutions politiques) — საერთო ამ დემოკრატიას ის ქონდა, რომ ორივენი ბრბოს საშუალებით ეჭცე-

ოდნენ ხელისუფლების სათავეში“. ან რომელ დემოკრატიაზედ შეიძ-ლება ლაპარაკი, როდესაც ათინაში მონობის ინსტიტუტი დაკანონებული იყო და დემეტრიუს ფალერის აღწერილობის მიხედვით (283 წ. ქ. წ.), ოთხასი ათასი მონა მუშაობდა 21 ათას თავისუფალ მოქალაქეთათვის? *) „მონამ უნდა უზრუნველ ჰყოს თავისუფალი ადამიანი ყოველგვარ მატერიალურ ზრუნვისაგან... არის ცოცხალი იარაღი მონა და მონა უსულო იარაღი“ რომელიც ერთი მეორეს ავსებდა (Aristote. Moral a Nicomaque). მუშაობა თავისუფალ ადამიანისათვის დაგმობილი იყო, რომელიც „ასუსტებს სხეულს და აღატაკებს სულს“. ის მხოლოდ მონის საქმე იყო „დემოკრატიულ“ საბერძნეთში. საკვლევით სამართლიანათ შენიშნავს პროფ. დიუვერეე, რომ „სინამდვილეში არ არსებული ანტიური დემოკრატია, უბრალოთ დემოკრატიის სახელს ატარებდა. რაც მთავარია დემოკრატიულ რეჟიმში — წარმომადგენლობითი ინსტიტუტი — მათთვის უცნობი იყო და ის წარჩინებულთა ბალალი კასტის (არისტოკრატიის) და არა დემოკრატიის მმართველობა იყო, სადაც თავისუფალი მუშები და 400.000 მონა ყოველგვარ პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს იყვნენ მოკლებულნი **). პლატონი გულ ხარეული იმ ოცდაათი ტირანის მოქმედებით რომელიც მისმა დედა - ქალაქმა განიცადა და მაშინდელ მახინჯ დემოკრატიით“ რომელმაც სოკრატი სიკვდილით დასაჯა და თვითონაც ბონათ უნდა გაეყიდათ — ახალ იდეას აყალიბებს, რომელიც დიალოგის სახით თავის რესპუბლიკაში მოგვცა.

ჩვენ აშკარათ ვხედავთ, რომ ძველ საბერძნეთში დემოკრატია არ არსებობდა. არსებობდა მხოლოთ სიტყვა „დემოკრატია“, რომელიც ეტიმოლოგიურათ ხალხის მიერ მართველობას ნიშნავდა. სინამდვილეში კი, არამც თუ ხალხი მართავდა, არამედ მონების ბატონები და ეს მონები მოსახლეობის 95% შეადგნდა, რომელთა ყიდვა და გაყიდვა დაკანონებული იყო. ამრიგად ძველი და ახალი დემოკრატია ყოველგვარ ანალოგიის გარეშეა. მაშ საიდან გამოდიოდა ტირანია? ამაზედ როგორც ზევით ვსთქვით, არისტოტელი გვაძლევს პასუხს: „დემაგოგს+ მაგრათ შეკრული ჯგუფი დაკავშირებული რამოდენიმე გავლენიან პირთან, დანარჩენი იყო ბრბო, რომელიც მათ მიჰყვებოდა“. აი ასეთ „დემოკრატიიდან“ წარმოიშვა რუსეთის მარქსისტული ტირანია და არა იმ არ არსებულ დემოკრატიიდან, რომელზედაც „ძველი“ ლაპარაკობს.

„დემაგოგი — გვეუბნებიან ძველი ავტორები — არის ის, რომელიც მუშაობს და ხელს უწყობს ხალხი ტირანათ აქციოს, სანამ თვით გახდებოდეს ტირანი“. რაში გამოიხატება ხალხის ტირანათ ქცევა? დემაგოგი ცდილობდა ცრუ დაპირებებით მოსახლეობის ერთი ნაწილი

---

*) იხ. Wallon. Histoir de l'esclavage, ტ. I, გვ. 220, აგრეთვე A. Böckh. Economie politique des Atheniens.

**) იხ. პროფ. M. Duverger. Le regimes politique, გვ. 15.

— ლარიბები — ისე როგორც დღევანდელი მარქსისტები — აემხედრებიათ მოსახლეობის უფრო შეძლებულ ნაწილზედ, რაც ხშირათ იწვევდა სამოქალაქო ომებს, ხალხი მხეცდებოდა—ტირანდებოდა—ამით დემაგოგი სარგებლობდა და როგორც „სამართლიანობისა და თავისუფლების დამცველი“ ბრბოს ხელისუფლების კვარცხლ-ბეკზედ აჰყავდა. მარქსისტული სოციალიზმის ტაქტიკაც ხომ იგივეა: მასის ხელოვნური აღელვება, ძალმომრეობა და სამოქალაქო ომი, რაც ხალხს ამხეცებს და ატირანებს, ხდის ბ-ოთ და მათი დახმარებით ხელისუფლების სათავეში ეჭცევიან. ეს ჩვენ დაგვიმტკიცა ამ ოცდაათი წლის მარქსისტულ სოციალიზმის მოძრაობამ სხვა და სხვა ქვეყნებში. ამასვე გვიმტკიცებს რუსეთში მარქსისტულ ტირანიის წარმოშობის ისტორია.

როგორი შეხედულების არიან თანამედროვე ავტორები სოციალიზმზედ? „სოციალიზმს — რომელსაც ხმაროობენ თავიანთ პროპაგანდაში დემაგოგები, მოწოდებულია გახდეს ტირანათ. ეს ყოველთვის იყო ელემენტარული და მუდმივი. ისინი თავისუფლების, ძმობისა დათანასწორობის სახელით, ხალხს მოუწოდებენ აჯანყებისაკენ, იმისთვის, რომ დემოკრატიული კონსტიტუციი დაამხონ. ტირანი მიმართავს მოდერნულ პროცედურას — **პროპაგანდას და პარტიას.** ისინი თავის მოქმედებას ანვითარებენ იმავე დემოკრატიაში, რომელსაც დანგრევით ემუქრებიან. **მათი მოქმედება სავსებით იგივეა რაც ანტიურ ქვეყნებში:** დემაგოგს დემოკრატიაში ნელ-ნელა შემოაქვს ტირანული ჩვეულებები იდეა და მეთოდი... ტირანია მყარდება მაშინ, როდესაც ხალხს არა აქვს ნამდვილი დემოკრატიული მიდრეკილება ე. ი. თავისუფლების გრძნობა და პიროვნული შეგნება იყვეს მოქალაქე და არა მორჩილი“ — ამბობს ოსიმონ არონი (L'Homme contre les tyrans — გვ. 121 - 2 - 4). როდესაც ხალხი მომზადებულია სოციალისტურ ტირანულ რევოლიუციისათვის „დემაგოგი ტირანი თავის ერთგულთ პოულობს დალარიბებულ მასაში... და ერთი ძლიერი შეიარაღებული პარტიზანული ჯგუფი — დეკრეტით აცხადებს, რომ თვით ისაა სახელმწიფო — ამბობს ე. ჰალევი (L'ére des Tyrannies). „ყოველ იჭვს გარეშეა — ამბობს პროფ. ჰაიეკი — თავისუფლების დაპირება ერთ მთავარ მჭრელ იარაღთაგანია სოციალისტურ პროპაგანდის და ბევრს გულწრფელათ სჯერათ, რომ სოციალიზმს მართლა თავისუფლება მოაქვს. ტრაგედია იმდენათ დიდი და საშინელია, რამდენათაც დაპირებულ თავისუფლების მაგივრათ ხალხი მონობას ღებულობს“. დაკვირვება და სოციალიზმის ანალიზაციელების ცდები გვიმტკიცებენ, რომ „სოციალიზმი უსათუოთ არის ის გზა რომელსაც თავისუფლებისაკენ კი არა, არამედ ყველაზედ საშინელ სამოქალაქო ომისა, დიქტატურა და კონტრ-დიქტატურისაკენ მივყევართ... დემოკრატიული სოციალიზმი საბოლოოდ უტოპიურ სამყაროს ეკუთვნის“. ბევრია ინტელიგენტები, რომელნიც სოციალიზმს ღებულობენ, როგორც ლიბერალურ ტრადიციების მემკვიდრეს: განა საკვირველი არაა, რომ იმათ

ვერ შეიცვნეს, რომ სოციალიზმი მიდის თავისუფლების საწინააღმდეგო მიმართულებით? *) ცნობილი ეკონომისტი **როპკეც** იმავე აზრს გამოსთქვამს, რომ თანამედროვე ტირანია—სოციალიზმი იძლევა: „სოციალიზმმა, რომელმაც არ იცის არც თავისუფლება, არც კერძო ინტერესთა სფერო—ეყრდნობა მასის ხელოვნურ მღელვარებაზედ, ცდილობს ძალა--უფლება ხელში ჩაიგდოს ძალმომრეობით, რომელიც აგებულია ულინდისო პოლიციურ რეჟიმზედ—ამის გასაგებათ თუ რას ნიშნავს ეს **) არაა საჭირო ადამიანი იყოს დიდი პოლიტიკოსი და არც დიდი ფსიხოლოგი... დემოკრატიული სოციალიზმი—უკანასკნელ თაობის ეს უდიდესი უტოპია, ნაც. სოციალიზმი და ფაშიზმი ყველანი ეს ვარიანტებია ტოტალურ რეჟიმის“... „ადრე თუ გვიან ევროპის სოციალისტებმა უნდა გადაწყვიტონ ან კომუნისტურ მოძრაობასთან ანდა ლიბერალურ-რეფორმისტულ პარტიებთან და თუ არ ეცდები ისინი ამ გზა-ჯვაროედინზედ უკვე იმყოფებიან“—ამბობს პროფესორი როპკე ***). „რაც სოციალიზმი გაჩნდა ეს პირველათაა, რომ ანტიკაპიტალისტური გრძნობა პირდაპირ მიიმართება სოციალისტურ მოძრაობის წინააღმდეგ, ამბობს **დე მანი** (სოციალიზმი და ნაციონალ ფაშიზმი, გვ. 6). სოციალიზმი ასრავის არ შეუფასებია ისე საღათ და სწორათ და ისიც ამ ასი წლის წინათ, როგორც ა. ტოკვილმა, რომ დემოკრატია და სოციალიზმი შეუერიგებელი და ერთი მეორის საწინააღმდეგო მცნება იყო: „დემოკრატია აფართოვებს პიროვნულ დამოუკიდებლობის სფეროს, სოციალიზმი კი სპობს. დემოკრატია ადამიანს ანიჭებს ზთელ თავის ღირებულებას, სოციალიზმი კი ყოველ ადამიანს **ხდის აგენტათ, იარაღათ, რიცხვათ** (chifre). დემოკრატიას თანასწორობა უნდა თავისუფლებაზი, სოციალიზმს კი იძულებასა და მონობაში. (Oeuvres compl. d'A. Tocquevile გვ. 546).

ძველი და ახალი ავტორების მიხედვით, აშკარათ ვხედავთ, რომ ტირანია და სოციალიზმი, ძველი და ახალი დემაგოგი—ერთსა და იმავე მეთოდით, ერთსა და იმავე ლოზუნგებით სარგებლობენ. მათი წარმოშობის წყარო და ნიადაგი იგივეა: ბრბო და გაუნათლებელი მასა, გაჭირვება და სიღარიბე, რომელსაც სხვა მოთხოვნილება არა აქვს გარდა მუცლისა. ლენინმა ბრბოს დაპირდა პური, ნება მისცა „წაცარცვის ცარცვის“ და სასახლეების ნგრევის—შეიარაღებულ და უიარაღო ბრბომ (და არა დემოკრატიამ) მას გაჰყვა და გაამეფა.

როცა ადამიანი მარტო მუცლის ინტერესებიდან გამოდის, ის ცხოვრებას მხოლოთ მუცლის თვალსაზრისით უყურებს და აფასებს, რომელიც მზათაა ძალმომრეობასა და ტეროორს მიმართოს. განა დღეს არსებობენ ფსიხოლოგიურათ და სოციალურათ ჩამოყალიბებული ადამიანის ისეთი ტიპები, რომელნიც მუცლის დასაკმაყოფილებლათ ძალ-

*) იხ. პროფ. F. Hayek, La Rout de la servitude.

**) „ახალი“-ს საყურადღებოთ — ეს ნიშნავს ტირანიას.

***) იხ. პროფ. W. Bopké. Explication economique du monde moderne, გვ. 308-315. აგრეთვე მისივე La crise de notre temps et Civitas Humana.

მომრეობასა და ტერორის ქადაგობენ? ძველი დროის მუცლის თეორეტიკოსი ეპიკური იყო (ქ. წ. 270 წ.), რომელიც ადამიანის ბედნიერებას მუცლით ზომავდა. მისთვის „ყოველგვარი სიკეთის ძირი და პრინციპი მუცლის სიამოვნება“ იყო. მას ვერ წარმოედგინა სიკეთის იდეა — როგორც თვითონ ამბობდა: „თუ მე მოვიკლებ სმა-ჭამის სიამოვნებას და ვენუსის სიტკბოებას“-ო *). მუცლისა და ძალმომრეობის ახალი დროის გამოჩენილი თეორეტიკოსი კარლ მარქსია. ის ეპიკურს ალმერთებდა და მთლიანათ იზიარებდა მის მატერიალისტურ ფილოსოფიას, რომელიც თავის საკუთარ დოქტორინას საფუძვლათ დაუდო. განა ჟიულ გეიდი არ ამბობდა მარქსისტულ პარტიაზედ, რომ — „ჩვენი პარტია ემყარება ინტერესებზედ და თავი მოაქვს მუცლის პარტათ“-ო? განა ჟ. ჰანოტომ არ შესძახა მას: „არა, მუცელი არ არის მთელი ადამიანი, მას სხვა მოთხოვნილებანიც აქვს“... **) მაგრამ ეს სხვა მოთხოვნილებანი საუბედურეოთ უკულტურო მასისათვის არ არსებობენ. ამიტომ იყო, რომ ძველი დემაგოგი — ტირანი და ახალი დემაგოგი — მარქსისტი, ამ მასის გულს იგებს და იმხრობს მუცლის დამაკმაყოფილებელ ცარიელ ფრაზეოლოგიით, რომელიც მზათაა ყოველი სასტიკი და უკიდურესი ზომები მიიღოს ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ და მარქსისტულ ტირანიის დასამყარებლათ. აი რას ამბობს მოდერნულ ტირანიის თეორეტიკოსი: „ის ვინც მერყეობს, **უკიდურესი ზომები მიიღოს** სოციალისტურ სახელმწიფოს რეალიზაციისათვის, ის რომში წავიდეს და ბერათ აღიკვეცოს... სოციალისტურ იდეას თუ უნდა გაიმარჯვოს, მან **ძირ ფესვიანათ უნდა ამოაგდოს** ყველა ნერგი პარაზიტი, რომელსაც ათასი ფესვებიაქვს გადგმული საზოგადოებაში და **ცეცხლს და მახვილს უნდა მისცეს ის...** დიდი საყასბო, სადაც მუშებს ათასობით აღრჩობენ — ქალაქებია. რადიკალურ, რაციონალურ სოციალიზმს ვერ გაუძლებს და ვერც უნდა გაუძლოს ვერც ერთმა ქალაქმა... **ქალაქთა ნანგრევებმა უნდა გაანოყიეროს სოციალისტურ მინდორთა სიმშვენიერე“**. ვისი სიტყვებია ეს? ძველ საბერძნეთის დემაგოგ — ტირანის? აღვირ წახსნილ ჩეკისტის? არა, ეს „მარგალიტი“ კარლ მარქსის დორბლიან ბაგეთაგანაა ამოსული ლონდონში გერცენის სალონში—ფრანგ ემიგრანტების ლუი ბლანის, ლედრიუ როლენის და გდგარ კ ინესთანადასწრებით***). ამის შემდეგ შეიძლება თქმა იმისა რომ ბოლშევიკები მარქსისტები და მარქსის მიმდევრები არ არიან?

მარქსისტულ სოციალიზმს არ შეიძლება სხვა რამე მოგვცეს თუ არა და ტირანია, რადგან — მარქსისა და „კომ. მანიფესტის“ მიმდევრები, შოწოდებული არიან ტირანია და დესპოტიზმისადმი: როგორც უკიდურესი მატერიალისტები ისინი უარყოფენ ყოველგვარ სულიერ საწყისს — ადამიანში ისინი უყურებენ არა სულიერ ორგანიზმს, არამედ

*) იხ. E. Dubois. Epiqur, გვ. 143.

**) იხ. Hanotaux. La democratie et le travail — შესავალი გვ. 37-8.

***) იხ. V. Overbergh — Karl Marx. ტ. I, გვ. 270.

რეფლექსების მექანიზმს; არა სულიერ და მორალურ ღირსებას, არამედ ცხოველურ ანგარიშსა დაკლასიურ შურს. პიროვნება მათთვის არ არსებობს არამედ მანქანა, რომელიც უნდა იყოს მოიჩილი და მონა. აი ამიტომაა **ერთ ნასკვში რომ ამაგრებს მატერიალიზმი — სოციალიზმს და ტერორის სისტემას.** სოციალიზმს ტერორი იმდენათ სჭირდება, რამდენათაც ის რევოლიუციონური მიმდინარეობაა და არა რეფორმისტული. მარქსიტები, როგორც უხეში რევოლიუციონერები არ გრძნობენ და ანგარიშს არ უწევენ დროსა და მის ძალას — ისინი ცდილობენ განუხორციელებელი უმოკლეს დროში განახორციელონ. ისინი მტერი და მოძულე არიან თანდათანობის და როგორც ასეთი, იძულებული არიან მიმართონ ძალმომრეობასა და ტერორს, რომელიც იძლევა **გაუგონარ ტირანულ მართველობის საშინელ ფორმას.** ჩვენ ვიცით, რომ არიან მრავალი სახის სოციალისტები, რომელნიც უარყოფენ ტერორს — მაგრამ ეს ერთი წუთითაც ვერ არყევს ჩვენს მტკიცებას, რადგან ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა სპეკულიანტ-სოციალისტები, არა ცრუ-სოციალისტები და არა სამიტინგო და პროგრამულ-საარჩევნო სოციალიზმი — საერთოდ სიტყვის სოციალიზმი კი არა, არამედ „საქმის“ სოციალიზმი. რაც შეეხება მუშათა კლასის ინტერესების დაცვას, გადასახადების კანონიერ განაწილებას, უმიწოგლეხთა და სამეურნეო ცხოვრების მოწყობას, სოციალურ დაზღვევას, ომისადმი ზიზღს და სხვა... ყოველივე ეს **სოციალურია** და არა სოციალისტური. ყოველივე ეს შეიძლება გატარდეს ცხოვრებაში **უსოციალიზმოთ და უსოციალისტოთ.** კიდევ მეტი, იდეური ხალხი, რომელნიც აზროვნობენ **სოციალურათ** და **არა სოციალისტურათ** ყოველივე ამას ცხოვრებაში გაატარებენ უკეთესათ, უფრო სიცოცხლით, ეკონომიით უდემაგოგიოთ და დოქტრინალურ გადუმეტებლობით **ვიდრე სოციალისტები.**

მარქსისტული სოციალიზმი — რომელიც ცდილობს **დესპოტიური ძალმომრეობით და ტერორით მოსპოს და გაასწოროს ყოველგვარი პიროვნული თუ კერძო უფლება,** არავითარი საფუძველი არა აქვს თანაგრძნობის რაიმე ვარაუდი იქონიოს **მუშათა კლასის** და მით უმეტეს კი მოსახლეობის დანარჩენ ფენებისაგან. აი ამიტომ არიან ისინი ტოტალური პიროვნებისა და დემოკრატიის მტერნი და ტოტალურ საზელმწიფოსა და დიქტატურის პარტიზანები. დიქტატორი იწყებს ისე, როგორც ტირანი და ორივე ერთსა და იმავე ხერხსა და საშუალებას მიმართავენ — ეს ჩვენ ვიცით არა მარტო წიგნებიდან და ისტორიიდან, არამედ დღევანდელ სინამდვილიდანაც. **ტირანია და ტერორი — მარქსისტულ სოციალიზმის სამყაროში მართვა-გამგეობის მოფიქრებული სისტემაა, ურომლისოდაც სოციალიზმის განხორციელების ცდები შეუძლებელია** — რადგან: **მხოლოდ ტერორს შეუძლია ადამიანი** მოაშოროს **კერძო** საკუთრების სურვილს, **კერძო** მეურნეობის, **კერძო ოჯახის და პირად დამოუკიდებელ რწმენას.** იგი როგორც არა ბუნებრივი და ანტი-სოციალური მოძღვრება გამუდმევლად დაკავშირებულია ტერორის სისტემასთან; ამისათვის საჭიროა აღზრდა და მომზადე-

ბა უამრავ ჯანუშებისა და ჯალათების, რომელიც აგრე უხვათაა მარქსისტულ სოციალიზმის სამყაროში — უდანაშაულო ხალხის მარქსისტულ საძსხვერპლოზედ მისატანათ.

ასეთია მარქსისტულ სოციალიზმის ბუნება და შინაარსი და მისი პრაქტიკულ ცხოვრებაში განხორციელების **ц д е в и с** შედეგები, რომელმაც რუსეთში უპრეცედენტო **ტირანია შვა.** ეს „ძველმა“ კარგათ იცის, მაგრამ მას ამ ჭეშმარიტების საჯაროთ აღიარება ხელს არ აძლევს და განგებ პლატონის ფორმულას ეჭიდება. რატომ? ეს ფასიგებია: საბჭოთა ტირანიის სახარება „კომ. მანიფესტი“ მისი სახარეზაცაა.

ვ. **შუბლაძე.**

ბ ო ლ ო ს დ ა ს ა წ ყ ი ს ი

(გაგრძელება *)

გარდამტეხ მომენტათ იქცა 1806 - 1807 წელი, როდესაც საფრანგეთმა თავის დაპყრობითი მოსაზრებებით, აშკარად შელახა თანამებრძოლ ერთა ინტერესები და შეეიდა ხელოვნურ პოლიტიკურ თამაშში რუსეთთან და პრუსიის საჰეფოსთან. ამ ხანიდან ეროვნული განთავისუფლების იდეამ საფრანგეთის მოწინააღმდეგე ბანაკში გადაინაცვლა. ერების უმეტეს რიცხვისთვის საჭირო წარეჩნა განთავისუფლება სწორეთ საფრანგეთის ბატონობიდგან.

უკვე 1809 საფრანგეთის ჯარს არავინ აღარ ეგებება ენტუზიაზმით და აღტაცებით. პირიქით, როგორც ჯარი ისე მოსახლეობა ყველგან დიდ წინააღმდეგობას უწევენ მის შემოსევას. უკვე საფრანგეთის ძლევამოსილ მარშლებს და გენერლებს, მიუხედავად მთელ თავის ღირსებისა და გამოცდილებისა, თანდათან ეძნელდებათ ამ გამარჯვების მოპოვება. სიძნელით მოპოვებული უმნიშვნელო გამარჯვებანიც ველარ ეღირებიან წინანდელ გამარჯვებათა ისეთ სასწაულებრივ მნიშვნელობას, როგორც აუსტერლიცის, იენისა და სხვათა.

ყველაზედ თავგამოდებული ბრძოლის დროშა ეროვნულ თავისუფლებისათვის აღმართული იქმნა ესპანიაში, სწორეთ საფრანგეთის აგრესიის წინააღმდეგ. ესპანიის ბრძოლას მოჰყვა გერმანელ ერის **Freiheitskampf** და მთელი ეს ხანა ამოწურული და დახურული იქმნა მონაწილე ერებისათვის გამანთავისუფლებელ ბრძოლის სახელით. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, იმ ერების ერთმა ნაწილმა, რომელთაც საფრანგეთის რევოლიუციამ გაუცრუა იმედები, შეახეირხა საკუთარ ძალებით ჩამოყალიბება ეროვნულ სახელმწიფოებრივ ფარგლებში. ამით ისტორიამ ერთხელ კიდევ აღნიშნა ხაზგასმით, რომ ყველა ეგინი საფრანგეთის რევოლიუციიდან მოელოდნენ სწორედ ამ საღ ეროვნულ სახელმწიფოებრივ თავისუფლებას.

ამ სტიქიური ძლიერებით აბობოქრებულმა ხანამ მოგვცა რამოდე-

*) იხ. „ივერია“ № 2.

ნიმე მკვეთრად ჩამოყალიბებული ისტორიული ფაქტები, რომელთაც დღემდის შეინახეს თავისი უშუალო სახელმძღვანელო ღირებული. სახელდობრ: საფრანგეთის სამხედრო ძლიერების მთავარ ნაწილს წარმოადგენდა იმ ერების სამხედრო ძალების საერთო ჯამი, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოებრივ არსებობას და ყველა საშუალებებით იბრძოდნენ ამის მოსაპოვებლად; საფრანგეთი პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც ნებით თუ უნებლიეთ, მოახერხა ამ დიდი რეალური ძალების თავის სამხედრო ძლიერების კალაპოტში ჩაყენება. იყენებდა მათ მხოლოდ საკუთარი ეროვნულ-იმპერიალისტური ბრძოლისათვის და არც ერთ მათგანს არ მიანიჭა ეროვნული თავისუფლება. ამის გამო ვერც ერთმა ერმა, რომელმაც ვერ მოიპოვა ეროვნული თავისუფლება, ვერ შეინარჩუნა შინაგანი რეფორმები. ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლნი ერები თავიანთ ადგილს ჯერ საფრანგეთის მხარეზედ ხედავდნენ და როცა საფრანგეთმა ი

ოთმ ვსთქვათ, საფრანგეთის მოწინააღმდეგეებმა, ეს ბრძოლა დაიწყეს კლასობრივ—შინაგან პოლიტიკურ თვალთსაზრისით. მაგრამ ეს პოლიტიკური მოტივი ვერ აღმოჩნდა სერიოზული და ვერც ხანგრძლივი. თითქმის კონტინენტის ყოველი სახელმწიფო ცალ-ცალკე და რიგ-რიგობით ებრძოდა საფრანგეთს, მერე ურიგდებოდა და უკავშირდებოდა მას. პირველი დაუკავშირდა საფრანგეთს, ყველაზე რეაქციონურად ცნობილი რუსეთის თვითმპყრობელი იმპერატორი პავლე I-ლი; კავშირი შეჰკრა მან პირველ კონსულ ბონაპარტესთან. ეს არ იყო გაწოწვეული არც დამარცხებით, არც სხვა რაიმე პოლიტიკური იძულებით. შემდეგ საფრანგეთის ესეთივე მოკლე თუ გრძელ მოკავშირეობის ხანა განვლეს პრუსიის მეფემ, ავსტრიის იმპერატორმა და რუსეთის თვითმპყობელმა ალექსანდრე პირველმა. მაგრამ ამავე დროს ერთი სახელმწიფო ებრძოდა საფრანგეთს შეუჩერებლივ და არ ზოგავდა არავითარ საშუალებას ამ ბრძოლის ერთხელ დასახულ მიზნამდის მისაყვანათ. იგი არას დროს არ შედიოდა საფრანგეთთან არავითარ პოლიტიკურ კომბინაციებში და ყოველ ღონეს ხმარობდა მის საწინააღმდეგო ახალ კოალიციების შესაქმნელად.

ეს იყო ინგლისი იმ დროის ყველაზედ ლიბერალური სახელმწიფო. ის ამ ბრძოლას აწარმოებდა არა შინაგან წეს-წყობილების თვალსაზრისით.

მის ხელთ იყო იმ ხანაში საზღვაო ბატონობა. ინგლისი შეებრძოლა საფრანგეთს იმ დღიდან, როცა უკანასკნელმა დაიწყო ბრძოლა ევროპის კონტინენტზედ საკუთარი ჰეგემონიის დასამყარებლად. ინგლისმა იცოდა რომ ის, ვინც ევროპის კონტინენტზედ თავის ბატონობას დაამკვიდრებდა, იმისი შემდეგი აუცილებელი და ბუნებრივი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ზღვაზედ გამოსვლა და მსოფლიოს დამორჩილება. აი ამ უკანასკნელ წუთს ინგლისი არ უცდიდა და ამ ხიფათს შეებრძოლა ერთი პოლიტიკური ეტაფით ადრე. ეს იყო აქტიური თავდაცვა საკუთარი სახელმწიფოებრივი არსებობისათვის. ბრძოლა ინგლისმა დაიწყო ჯერ ისევ ბურბონების საფრანგეთთან და მას შეუწყვეტლივ და შეუნელებლივ აწარმოებდა საფრანგეთის, როგორც სამეფოსთან, დირექტორიასთან, კონვენტთან და იმპერიასთან. ეს ბრძოლა ბუნებრივი სახით ამოსწურა და ამოაჭრა ტრაფალგარის და ვატერლოოს კატასტროფამ, რომელთაც საბოლოოდ გაანიავეს საფრანგეთის პრეტენზიები ევროპაში გაბატონებაზედ.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ამ ბრძოლას ინგლისი აწარმოებდა თავის ერთოვნულ პოლიტიკის ხაზის დასაცავად და მხოლოდ ეს მოვლენა გამოდგა მკვიდრ და უცვლელ დებულებათ, მაშინ როდესაც ბრძოლა მხოლოდ შინაგან წესწყობილების თვალსაზრისით წარმოებული სავსე გამოდგა, ძლიერ ცვალებადი და მოულოდნელი პარადოქსებით. თვით საფრანგეთის კონტინენტზედ გაბატონების ცდა საერთო ჯამში ძლიერ ძვირად დაუჯდა . მისი დამაავადებელი მნიშვნელობა მარტო ტრაფალგარის და ვატერლოოს კატასტროფით არ ამოიწურა. ამისივე შედეგათ უნდა ჩაითვალოს 1871 და 1940 წლის მოვლენებიც

ისევე როგორც ოსმალეთისთვის 1683 წ. მარტო ვენის ალყის მოხსნით არ ამოიწურა. ამასვე მოწმობს, სხვა უდიდეს დამპყრობელ ერების ისტორიაც, სახელდობრ მონგოლეთის და არაბეთის დღევანდელი მდგომარეობა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა მოვლენებმა, დღემდე შეინახეს თავიანთი მათემათიკური დებულებათა მაგვარი მნიშვნელობა მსოფლიოს პოლიტიკურ ვითარებაში. ამავე ხანაში შორეულათ შემოიხაზა სილუეტი კაცობრიობის სამ უძლიერეს დინამიურ ელემენტისა. სახელდობრ: 1) კონტინენტის დამპყრობი ძლიერება, რომლის მიზანიცაა გამეფება ედედამიწის ზურგზედ; 2) საზღვაო ძლიერება, რომელიც ხმელეთის იმპერიალიზმის გამარჯვებაში თავის კატასტროფასა ხედავს; 3) სახელმწიფოებრივ არსებობას მოკლებული ერთა დიდი საბრძოლო ძალა, რომლის საშუალებითაც კონტინენტის იმპერიალიზმი ლამობს მსოფლიოს დაპყრობას, მაგრამ ამ ძალას ალარა სურს ბრძოლა სხვისი ინტერესებისთვის. დასასრულ, საჭიროა ხაზი გაუსვათ ერთ მეორე ხარისხოვან მოვლენას, რომელსაც ჩვენთვის, ქართველებისათვის აქვს ერთკვარი, საიულისტრაციო და საანეგდოტო ღირებულება. საფრანგეთის რევოლიუციონურ იმპერიალისტურ აღმოხეთქვის საქმე განგებამ უცხოელის ხელში მოათავსა. ეს იყო კორსიკანელი იტალიელი ნაპოლეონ ბონაპარტე. ის სანამ უმცროსი ოფიცერი იყო, დაახლოვებით მაიორის ხარისხამდე — ის იტალიის და კორსიკის დიდი პატრიოტი იყო. როცა გენერლის ხარისხს მიაღწია, უკვე ფრანგობა დაიწყო და გვარი ბონაპარტეთ გადააკეთა; ხოლო როცა საფრანგეთის იმპერატორი გახდა, რასაკვირველია, მასთან კორსიკის განთავისუფლებაზედ ლაპარაკიც ალარ შეიძლებოდა. არაფერი ალარ გააკეთა იტალიის პოლიტიკური გაერთიანებისათვის, თუმცა პირადათ მთელი თავისი სიცოცხლე იტალიელად დარჩა, და როგორც ყველა ისტორიკოსები აღნიშნავენ, ბოლომდის ვერ შეისწავლა ფრანგულათ ულეცდომოდ წერა, რის გამოც განზრახ განურჩეველი ხელითა სწერდა.

და ეს არა მარტო ნაპოლეონ I, ნაპოლეონ მესამეც ამავე ხაზით მოქმედებდა. მან პირადათ შეუძლებელი ჰყო, ვენეციის დაბრუნება იტალიისათვის. და პირადათ უწევდა წინააღმდეგობას იტალიელების რომში შესვლას, რისთვისაც იქ ჩააყენა განსაკუთრებული ფრანგული ნაწილი, რომელიც იდგა 1871 წლამდის.

კაცობრიობა ჯერ კიდევ არ იყო დაცილებული ამ ხანგრძლივ ბრძოლის უშუალო შედეგებს, როცა დაიძრა ორი ახალი ერი ამ ძველი მიზნის მისაღწევად, ე. ი. კონტინენტზედ გაბატონების და შემდეგ მსოფლიო ჰეგემონიის მოსაპოებლად: რუსისა და გერმანელი ერი.

რუსეთი, თავის სახელმწიფოებრივ ჩამოყალიბების პირველ დღიდანვე, უალრეს იმპერიალისტურ ქმნილებად იქცა. მისმა დაპყრობითმა მისწრაფებამ, თავიდანვე ძლიერ პრიმიტიული და ფანატიკური სახე მიიღო. ეს ხაზი ჩამოყალიბდა ჯერ ისევ მის პირველ მეფე იოანე მრისხანის მეფეობის დროს.

... ეს მოვლენა რამდენჯერმე იქმნა განხილული —მხედრის“ წარსულ ნომრების ფურცლებზედ. დღეს მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ, რომ მძაფრად მიიწევდა ყველა შესაძლებელ მიმართულებებით. ჯერ ზღვებისაკენ (ბალტიის ზღვა, შავი და კასპის ზღვისაკენ), შემდეგ ამ ზღვებიდგან ოკეანეებზედ გასასვლელ კარებისაკენ და ბოლოს თვით ოკეანეებისაკენ. ამ პრიმიტიულ აგრესიას მუდამ სხვა და სხვა სახელი ერქვა. ხან ბიზანტიის მემკვიდრეობის დაცვა, შემკობილი „მესამე რომის“ გაიძვერა თეორიით' ხან ქრისტიან ერების, ხან მოძმე სლოვიან ერების განთავისუფლება. (სხვათა შორის, არც ერთ სახელმწიფოს არ დაუღვრია იმდენი სლავიანთა სისხლი, რამდენიც რუსეთს).

რუსეთის ყოველივე მორიგე დაპყრობას აუცილებლივ რამე იდეოლოგია უნდა ჰქონოდა და ამ საარეკლამო ეტიკეტს ძლიერ ხშირათ პირდაპირ უხეშ ცინიზმის სახეს აძლევდნენ. მაგალითად ეკატერინემ, პოლონეთის სახელმწიფოებრივ არსებობის მოსპობა „პოლონეთის მოქალაქეთა დარღვეულ უფლებების აღდგენა“, საბუთით და იდეით მოახდინა. ასეთი გზებით რუსეთმა დაიპყრო ყველა ერები ფინლანდიიდან შავ ზღვამდის და კავკასიიდან წყნარ ოკეანემდის. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოში კავკასიის დაპყრობით იგი დამკვიდრდა მახლობელ აღმოსავლეთში; შორეულ აღმოსავლეთში დაიპყრო წყნარ ოკეანეს ნაპირი ვლადივოსტოკის პორტამდის და ფეხი მოიმაგრა ჩინეთის ჩრდილოეთ პროვინცია მანჯურიეთში, ხოლო დასავლეთით უშუალოდ მიადგა გერმანელ ერის სამფლობელოს და დაემუქრა ბალკანეთს, ბოსფორის და დარდანელის სრუტეებს.

რა ხდებოდა ამავე დროს გერმანულ ერის წიაღში? მის იმპერიალისტურ მისწრაფებას ამ ჟამად ანხორციელებდა ორი დიდი სახელმწიფო: ჰოჰენცოლლერების გერმანია და ჰაბსბურგების ავსტრო-უნგრეთი. მიუხედავად იმისა, რომ გერმანეთის საშინაო საკითხებში ამ ორ დინასტიათა შორის მუდმივი მეტოქეობა და ლია ბრძოლა სწარმოებდა, საერთაშორისო ასპარეზზედ, ეს ორი დიდი იმპერია მთელის შეგნებით და სრული ჰარმონიით თანამუშაობდა ერთ ეროვნულ გერმანულ ხაზის განხორციელებისათვის.

ორ სახელმწიფოდ გაყოფა არამცთუ არ უშლიდა ხელს ამ ერს თავის საგარეო საქმიანობაში, პირიქით, ავსტრო-უნგრეთის შინაგანი წყობილების წყალობით, გერმანელი ერის სამხედრო მანქანაში ჩაბმულნი იყვნენ უნგრელები, რუმინელები, იტალიელები, ჩეხები, კროატები და სხვა ბევრი სლოვიანელი ერი. ამ სახელმწიფოს წყალობით, გერმანულმა იმპერიალიზმმა ჯერ ისევ მშვიდობიან დროს მოიპოვა მაგარი პოზიცია ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ.

ბოლოს გერმანეთის იმპერიალიზმის უშუალო ძახილად შეიქმნა მათი ცნობილი «Drang nach Osten». ამ დებულების მიზანს წარმოადგენდა უკვე ბერლინ-ბაღდადის მიმართულება და სპარსეთის ყურე. ვისლის აუზის და დასავლეთ რუსეთის გერმანიზაცია მათთვის უკვე ძირითად საკითხს აღარ წარმოადგენდა. გერმანელებს ეს ისეთ ბუნებრივ მსვლელობად მიაჩნდათ, რომ ამის მიღწევას უბრძოლველადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად უზრუნველყოფილად სთვლიდნენ. მთელ ამ სივრცეზედ არამც თუ ოსმალიმე ერის უფლებებს არა სცნობდნენ, მათი ფიზიკური არსებობის ფაქტსაც ალარ ჰგულისხმობდნენ. ამ ორ ახალ მოწინააღმდეგე ერთა მისწრაფებანი შეეხალნენ ერთმანეთს და გადაჯვარედიდნენ მახლობელ აღმოსავლეთის რუქებზედ, ჯერ ბოსფორის და დარდანელის და მერე სპარსეთის ყურის ნაპირებზედ. მათი პირველი ოფიციალური დაპირის--პირება მოხდა 1878 წ. ბერლინის კონგრესზედ. აქ შემოიხაზნენ პირველად მსოფლიოს უახლოეს მომავალ და უდიდეს საბრძოლო გათამაშების მთავარ ფალავანთა სილუეტები. ამ წერტილის მიღწევამდის რუსეთის და გერმანეთის ურთი-ერთობა სრულიად ჰარმონიულად და შეთანხმებულად ეწყობოდა; მათ ბევრი საერთო მიზნები ჰქონდათ. უმთავრესი მათი საერთო მიზანი იყო გერმანეთის და რუსეთის შუა მდებარე ერების თავისუფლების მოსპობა, მათი გაყოფა და გარდაქმნის მონელება. ამ საქმეში ძლიერ დიდი გულმოდგინებით ეხმარებოდნენ ერთი-მეორეს და საერთო ძალებით ებრძოდნენ ყველა იმ სახელმწიფოებს, რომელნიც სცდილობდნენ ამ პროცესის შეწლას და შეჩერებას. მეზობელ ერების მოსპობის და გაყოფის პროცესი წარმოადგენდა ერთ განსაკუთრებულ ხანას, რომელიც გათავდა აღნიშნულ სივრცეზედ უკანასკნელ თავისუფალ სახელმწიფოს დაპყრობით. ეს მომენტი, ერთ და იმავე დროს, მსოფლიოს ისტორიაში ახალი ფურცლის გადაშლაა. სახელდობრ: მთელი ხმელეთის ორი უდიდესი ძლიერი სახელმწიფო, მთელი ნადავლის მორიგებით გაყოფვის შემდეგ, ჩაჯდა ჩაჩქანში, ბრძოლით უკანასკნელ და საბოლოო მიზნის მიღწევისათვის. ამ წუთიდან უკვე ორთავე ყოფილ თანამომუშავეთ, ერთი-მეორის საწინააღმდეგო მიზანიც ჰქონდათ — გაბატონება მთელ ხმელეთზედ.

ვ. ნა-ლი.

(გაგრძელება შემდეგ)

კოტე აბხაზის სისხლი თურმე „თეთრი ყოფილა“

(პასუხი ბ-ნ გრ. ურატაძეს)

თქვენს მიერ ჩვენდამი მოწერილ ბარათზედ, რომლის მიზეზი გამხდარა ჩვენ მიერ „ივერია“-ს მე-2 №-ში მოთავსებული მოწოდება, რომელსაც თქვენზე და თქვენს მეგობრებზედ „მძიმე შთაბეჭდილება“ დაუტოვებია, საჭიროთ მივიჩნიეთ პრესის საშუალებით გაგვეცა პასუხი, მით უფრო რომ თქვენის აზრით ჩვენი—ომის დროს საქართველოდანგამოსული ახალგაზრდობის — „მანტალიტეტი“-ს გარკვევას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონია. არ გაგიკვირდებათ რომ ამ პასუხს არ ვათავსებთ თქვენს ცნობილ ორგანო „სოციალისტურ ვესტნიკ“-ში, რომლის ფურცლებზედ თქვენ საქართველოს საკითხს დიდი სამსახური გაუწიეთ! არ ვათავსებთ იმიტომაც, რომ თქვენ კერძო წერილში თქვენ უადგილოთ და შეუფერებლათ თავს დაესხით საქ. ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატიულ პარტიას, და ჩვენი თქვენდამი პასუხიც ქართულ ... ზოგადოებრივი აზრის ფაფრლებში უნდა დარჩეს.

თქვენი წერილებიდან სჩანს, რომ ძალიან არ მოგწონთ, რომ ჩვენ გავხდით—ეროვნულ-დემოკრატები. შეიძლება თქვენთვის უფრო მისაღები იქნებოდა დავბრუნებულიყავით საბჭოთა რუსეთში და ახლა ვიმყოფებოდეთ „კოლიმის“-„ყარანდაგის“ ან და სხვა „კონცლაგერებში“. როგორც მოგვიწოდა ამ რამდენიმე წლის წინეთ თქვენი პარტიის მეთაურმა, ამ მხრით მისი მოწოდება და სტალინ-ბერიას მოწოდებები ჩვენს მიმართ ერთმანეთს ემთხვეოდენ და ერთმანეთს ავსებდენ მაშინ. ჩვენ ეს გზა უარვყავით და ავირჩიეთ გზა, არა მონობის. არამედ სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის. ამ გზამ ჩვენ, აქ ემიგრაციაში მიგვიყვანა—საქართველოს ეროვნულ-დემოკრ. პარტიის რიგებში და გვწამს, რომ ესევე გზა ჩვენ კვლავ შეგვაერთებს თავისუფლებისთვის მებრძოლ ქართველ ერთან და ბრძოლის შემდეგ მიგვიყვანს თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოში.

გვეკითხებით „რას გავეცანით ჩვენ?“

ჩვენ გავეცანით, ჯერ კიდევ იქ, საქართველოში, მიუდგომელი ისტორიკოსის აზრს, რომელიც სწერდა: **„1912 წელს გაჩნდა ახალი პოლიტიკური ჯგუფი, რომელმაც შემდეგში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაარსა. იგი ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას იცავდა,** მაგრამ მტრულად უყურებდა სოციალისტურ ლოზუნგებს. ამ პარტიის გარშემო გაერთიანდა ინტელიგენცია, თავის იდეოლოგიით დაკავშირებული სამოციანი წლების მოღვაწეებთან—**იგი უმთავრესს ყურადღებას თავისს პროგრამის ეროვნულ მხარეს აქცევდა**“-ო და სხვ. (იხ. ქრისტ. რაჭველიშვილის—საქართველოს მოკლე ისტორია. დასაბამიდან 1917 წლამდე, გვ. 221, გამოცემა ტფილისი 1925 წ.).

იგივე ისტორიკოსი სხვა ქართულ პოლიტიკურ პარტიებზე აწერდა: „ქართველი სოც.-დემოკრატები კარგახნის განმავლობაში **მტრულათ ეკიდენ ეროვნულ პოლიტიკურ ლოზუნგებს, საერთო სარუსეთო განმათავისუფლებელი მოძრაობით გატაცებულნი, ისინი მეორე ხარისხოვან საქმედ სთვლიდენ და ცხარედ ებრძოდენ, მაგალითად საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას,**—ამიტომ არამარქსისტული ინტელიგენცია ცალკე დაირაზმა და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია დაარსა“ (იქვე, გვ. 218).

„სოციალისტ-ფედერალისტ ვარლამ გელოვანმა, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა წამოაყენა საქართველოს **ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნა**“ (იქვე, გვ. 221).

ამ რიგათ თვით ქართველი ბოლშევიკებიც ვერ უარყოფენ,*) ქართული პოლიტიკური პარტიების ეროვნულ ბრძოლას. ეს არ ეხება რასაკვირველია, ქართველ მენშევიკებს, რომლებიც მაშინ რუსეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიაში შედიოდნენ; თუმცა მათ როგორც თქვენ

*) ქრისტ. რაჭველიშვილი ბოლშევიკი არ არის—მაგრამ წიგნი გამოცემულია 1925 წელში, ტფილისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწერებით საქართველო „ალმოუჩენიათ“ და დაუარსებიათ. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, რადგან თქვენ იწერებით — 25 ოქტომბრამდე ე. ი. კომუნისტურ გადატრიალებამდე ჩვენში არ **ყოფილა არც ერთი პარტია, არც ერთი ჯგუფი,***) რომელსაც თავის პროგრამაში ქონოდა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა, ამიტომ არც „მუდმივი“ და არც „ურყევად“ არ შეეძლო ვინმეს ებრძოლა. დამოუკიდებლობის საკითხი დაისვა მხოლოდ კომუნისტური გადატრიალების შემდეგ და დაგვირგვინდა 26 მაისით და გამოაცხადა ის ნ. ჟორდანიამ და არა მაგ. „მუდმივმა“ და „მებრძოლმა“ ნაციონალ - დემოკრ. პარტიამ“-ო.

რასაკვირველია ეროვნულ - დემოკრ. პარტიას არ შეეძლო ცარიზმის დროს, წამოეყენებინა — ლოზუნგები საქართველოს სრული ეროვნული თავისუფლების—ის არც კი არსებობდა მაშინ. ოფიციალურად და ლეგალურათ, როგორც პოლიტიკური პარტია, მიუხედავათ იმისა, რომ მას ქონდა ყოველ - დღიური ორგანოები: ტფილისში—„საქართველო“, ქუთაისში ჯერ „სამშობლო“ და შემდეგ „ჩვენი ქვეყანა“— შექმნილი ქონდა ფართო წრეები ქართულ ინტელიგენციაში და მოსწავლე ახალგაზრდობაში. სწორეთ ამ წრეებმა პარტია დაარსეს ოფიციალურათ და ლეგალურათ 1917 წ. გაზაფხულზე, რუსეთის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ.

თქვენ არ შეიძლება აგრეთვე არ იცოდეთ თუ რა ეროვნულ განმათავისუფლებელ მუშაობას აწარმოებდა — პირველი მსოფლიო ომის დროს (1914 - 18 წლებში), საზღვარ-გარეთ ქართველი პატრიოტები: ზოგიერთი მათგანი შემდეგ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში იქმნენ არჩეულნი ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიიდან. მათ მიერ იქმნა დაარსებული ქართული ეროვნულ - განმათავისუფლებელი კომიტეტი **1915 წელში** შვეიცარიაში; მათ მიერ შედგენილი ქართული ლეგიონი, რომელიც იბრძოდა ოსმალეთის ფრონტზე — რუსების წინააღმდეგ, საქართველოს თავისუფლებისთვის. ეს ლეგიონი ხომ საქართველოში ჩამოვიდა (1918 წ.), როგორც საუკეთესო სამხედრო ძალა, პოლკოვნიკი ნესტორ მაღალაშვილის (ეროვ.-დემოკრ.) მეთაურობით?

26 მაისს—ხომ წინ უსწრობდა დიდი ეროვნულ - პოლიტიკური საპროპაგანდო მუშაობა, ეროვნულ - დემოკრ. პარტიის მეთაურობით, ამავე პარტიის მოთხოვნით და ინიციატივით გამოცხადდა, ჯერ კიდევ 1917 წლის გაზაფხულზე (ე. ი. ბოლშევიკურ გადატრიალებამდე) საქართველოს ეკლესიის სრული დამოუკიდებლობა—ავტოკეფალია; ამავე პარტიის მოთხოვნით და ინიციატივით იქმნა მოწვეული საქართ. ეროვნული ყრილობა 1917 წლ. შემოდგომაზე), რომელიც შემდეგ ეროვნულ პარლამენტათ გადაიქცა. განსვენებული კოტე აბხაზის გამოსვლა ამ ყრილობაზე, ხომ ყველას მიერ ცნობილია, როგორც დიდი პატრიოტული აქტი. ვინ მოითხოვდა რუსეთის თებერვლის რევოლიუციის მეორესავე დღეს აშკარად ქართულ პრესაში და მასებში, ფარ-

*) ხაზი ჩვენია.

თო გამოსვლებით, საქართველოს ფართო ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიას (ეს ხომ სრული დამოუკიდებლობის პირველი საფეხური უნდა გამხდარიყო) და ვინ ებრძოდა სასტიკათ ამ საქმეს?? თქვენ გგონიათ ჩვენ ეს არ ვიცით??

26 მაისი გამოცხადდა, მას შემდეგ რაც ქართული პოლიტიკური პარტიების პრესა (ეროვნ.-დემოკრატები,, სოც.-ფედერალისტები და სოც.-რევოლიუციონერები) დაჟინებით მოითხოვდნენ მისს გამოცხადებას — „რიცხას უცდით, გამოაცხადეთ საქართველოს დამოკიდებლობაო“ სწერდენ ისინი

26 მაისი გამოცხადდა, მას შემდეგ რაც ქართული დელეგაცია ბათომის საზაო კონფერენციაზე ბბ. აკ. ჩხენკელის, გ. გვაზავას, სპ. კედიას, ზ. ავალიშვილის და სხვ. შემადგენლობით—დაჟინებით სთხოვდა დროებითი მთავრობას და ბ. ნოე ჟორდანიას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას (გერმანელების რჩევაც ასეთი იყო) და ბ. ნოე ჟორდანია **სანამ თვით არ ჩავიდა ბათომში პირადათ და არ დარწმუნდა,** რომ საქართველოს გადასარჩენათ აუცილებელი იყო მისი დამოუკიდებლობის გამოცხადება, ვერ ბედავდა ამ ნაბიჯის გადადგმას. თუ თქვენ ეს ამბები დაგავიწყდათ—შეგიძლიანთ შეეკითხოთ. პარიზში ბ. აკ. ჩხენკელს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში, თქვენმა პარტიამ მაინც შეურია თავის პარტიული საწამლავი:—„ვინაიდან დიდი რუსეთი დაინგრა — იძულებული ვართ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ“-ო.

პ-ლო ბატონო გრ. ურატაძე — თქვენ იყავით 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, ქუთაისის — მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა კომიტეტის თავმჯდომარე და თქვენ არ შეიძლება არ გახსოვდეთ, რომ რევოლიუციისავე პირველსავე დღეებში და თვეებში. **ვიღაცას“** დასჭირდა ქართველ გლეხობაში — ლოზუნგის გადასროლა „საქართველოს ეროვნულ ავტონომიის მოთხოვნა — ბატონ-ყმობის **დაბრუნებას** ნიშნავსო“. დასავლეთ საქართველოში და კერძოთ ქუთაისში სოციალისტ - ფედერალისტებს და ეროვნულ - დემოკრატებს, საიდანაც მოსული ბნელი ბრბო, ეროვნულ დროშებს უხევდა და მათ პარტიულ ბიუროებს არბევდა — ამ პარტიების ახალგაზრდობა კი გმირულ წინააღმდეგობას უწევდა — სწორედ ამ ბრბოს.

პარტია **„მუდამ ურყევად იბრძოდა და იბრძვის, საქართველოს ეროვნულ თავისუფლების აღდგენისათვის, რაც სამწუხაროთ არ შეიძლება ითქვას პირადათ თქვენზე და თქვენს პარტიაზე,** ამის საუკეთესო ნიმუშია, თქვენი წერილი რუსის მენშევიკების ორგანო „სოციალისტურ ვესტნიკში“ (1950 წ. მარტის № 7). ამ თქვენი წერილიდან სჩანს, რომ ქართველი ერის, ეროვნული თავისუფლებისთვის ამდენი ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც დაიღუპენ და ახლაც იღუპებიან მისი საუკეთესო შვილები, თქვენ გსურთ—ქართული მატარებელი კვლავ რუსეთის დიდ ორთქმავალს მიაბათ. ამაზე თქვენ ალბათ სხვაგან გიპასუხებენ. ახლა კი შეგვიძლია ვთქვათ, მხოლოდ, რომ ამ 30 წლის განმა-

ვლობაში, თქვენ ყველაფერი დაგვიწყნიათ და არაფერი არ გისწავლიათ—საქართველოში იტყვიან „ობოლს მამა დავიწყებოდა და მამინაცვალს იფიცებდა“-ო.

ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ეყოს და არის ქართველი ერის და არა რომელიმე მისი ნაწილის პარტია. ის ქადაგებდა წინეთ საქართველოს ეროვნულ თავისუფლების აღდგენას. დღეს მისი უახლოესი მიზანია — საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივი თავისუფლების აღდგენა. ამ თავისუფლების აღდგენის შემდეგ, ის იბრძოლებს მისს განსამტკიცებლათ და საქართველოში სრული სოციალური სამართლიანობის დასამყარებლათ—კერძო საკუთრების პრინციპის ნიადაგზე.

თქვენი მტკიცება, რომ ეს პარტია არის ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური და სხვა ჩვენ მიგვაჩნია, წმიდა მენშევიკურ დემაგოგიათ. ჩვენ არ შეგვიძლია უწოდოთ სხვა სახელი, თქვენ შემდეგ რწმუნებას: „—მე ამ წუთშიც არ შემიძლია დავიჯერო, რომ თქვენ იყოთ მომხრე მაგალითად, რომ მიწა დაუბრუნდეს მემამულეს, ფაბრიკა-ქარხნები კაპიტალისტებს—ისარგებლონ იმავე კაპიტალისტებმა განუსაზღვრელ უფლებებით — კერძო საკუთრების სფეროში, შეიზღუდოს სოციალური დაზღვევა და სხვა“. საინტერესოა სად **გაიგონეთ ან სად წაიკითხეთ** ყოველივე ეს თქვენ?, რომ ასე დაბეჯითებით, ასეთ მართლაც პარადოქსებს—ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას აწერთ??? რომელი მიწები უნდა დაუბრუნდეს, ან რომელ მემამულეებს?? რომელი ფაბრიკა ქარხნები ან რომელ კაპიტალისტებს??? (თქვენგან ვგებულობთ, რომ თურმე საქართველოში მემამულეები და კაპიტალისტები კიდევ ყოფილან). ამას, რომ სწერდეს, რომელიმე პირწავარდნილი ქართველი კაპიტალისტი—ჩვენ არ გაგვიკვირდებოდა, მაგრამ თქვენ ხომ კომუნისტური პროპაგანდისტი არ ხართ? რომ ასეთ არაკეთილსინდისიერ პროპაგანდისტურ ხერხს მიმართავთ? და ამის შემდეგ თქვენ აკეთებთ დასკვნას—**„როგორ დავიჯერო, რომ თქვენ ყოველივე ამას მიიღებთ და აითვისებთ და თუ არა, რა ნახეთ ამ უდროოდ დამჭკნარ, დამღრანდ და დაკნინებულ ბურჟუაზიულ პარტიაში, ისეთი, რომ ასე თამამად იწვევთ სხვებსაც მაქ მოვიდნენ? ეს ითხოვს უეჭველათ დიდ განმარტებას, ამას აქვს უეჭველათ დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა“-ო.**

თუ ვინმე არის დამჭკნარი, დამღრანარი და დაკნინებული—სულიერათ, იდეურად თუ ფიზიკურად—ჩვენ ეს ვნახეთ ჯერ იქ საქართველოში, სადაც 24 წლის აჯანყების შემდეგ თქვენი ყოფილი პარტიული ამხანაგები, მათ შორის ბელადებიც, როგორც ყოფ. მინისტრები, ვიცე-ერალ-გუბერნატორები, დამფუძნებელ კრების წევრები და სხვა დიდი საპროპაგანდო აპარატი-ზალრით, ათასობით, გადავიდნენ საქართველოს დამპყრობელი, საოკუპაციო ძალა-უფლების მხარეზე და შევიდნენ თავიანთ „განაყოფ ძმა“ კომუნისტურ პარტიის რიგებში.

ეს აქაც, ემიგრაციაშიც ვნახეთ საკმაოთ და ამის საუკეთესო ნიმუშია თვითონ ეს თქვენი წერილი, რომელშიდაც იწერებით: „სამწუხაროთ გაზეთი არ გვაქვს, რომ მისს ფურცლებზედ შემეძლოს კამათი“;

ამავე დროს კი პარიზში, ყოველ ორ თვეში, გამოდის საკმაოთ ვრცელი ჟურნალი „ჩვენი დროშა“ (ჩვენ აქამდე არ ვიცით რა ფერისაა ეს „დროშა“ წითელი თუ სამფეროვანი?), რომელსაც თავზე აწერია „ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროსი“ და თქვენ ხომ ამ პარტიის თვალსაჩინო წევრი და ცნობილი ჟურნალისტი ბრძანდებით???

შეიძლება თქვენ ფიქრობთ, რომ რადგან ჩვენ ბოლშევიკური რეჟიმის დროსაღვიზარდეთ და დავკაცდით—არა გვაქვს უნარი წაკითხვის, გაგების და შეფასების??

ჩვენ თვითონ მოვესწარით ზოგიერთ ამბებს და მასთან საქართველოში ჩვენთან ერთად ხომ იყო ჩვენი უფროსი თაობაც, რომლებმაც წარსული ამბები იცოდა. ზევით დავინახეთ, რომ თვით ბოლშევიკებიც ვერ ბედავენ უარყონ ზოგიერთი საერთოდ ცნობილი მოვლენები, რომლებსაც თქვენ ასე ხელ-აღებით უარყოფთ.

საქართველოს რუსეთის მიერ ხელ-ახლად დაპყრობის შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილა — ქართველი ერის მისწრაფება, სურვილი, ნებისყოფა და ბრძოლის მიზანი, რომ ის იყოს სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი ერი. ამის დამამტკიცებელია უკანასკნელი ომის დროს მომხდარი ამბები და სხვათა შორის ჩვენი აქ ყოფნაც. ამდენი ბრძოლის და მსხვერპლის შემდეგ—ეს სურვილი და ნებისყოფა კიდევ უფრო გაკაჟდა, რადგან გაიზარდა ქართველი ერის ეროვნული თვით შეგნება და ეროვნული თავ-მოყვარეობა. თქვენ თურმე არ შეცვლილხართ, რადგან 1918 წელში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების **კვლავ დროებით და გარდამავლათ** თვლით. „რადგან **შეუძლებელი შეიქმნა—საერთო სარუსეთო საქმის გადარჩენა** (ხაზი ჩვენია). ჩვენ შევეცადეთ გადაგვერჩინა ჩვენი საკუთარი, ვთვლიდით რა ამას **დროებით და გარდამავლათ**“ (ე. ი. სანამ მთლიანი და დიდი რუსეთი აღსდგებოდა); ეს არის თქვენი უკანასკნელი განცხადების აზრი და შინაარსი საკმაოთ შეხამებული თქვენ ეროვნულ შეგნებასთან (იხ. თქვენი წერილი ჟურნალ „სოციალისტურ ვესტნიკ“ მარტის №-ში). ასეთია ბატონო ურატაძე, თქვენი საკუთარი და თქვენი პარტიის „მარქსისტული“ პატრიოტიზმი, რომელიც ძლიერ განსხვავდება, ქართველი ერის და მისი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პატრიოტიზმისგან და აი სწორეთ ამიტომ აღვნიშნეთ ჩვენს მოწოდებაში: „—რომელიც (ერ.-დემოკრ. პარტია) მუდამ ურყევად (არა ისე როგორც თქვენ) იბრძოდა და იბრძვის ეროვნული თავისუფლების აღდგენისათვის“.

თქვენი პირველი წერილის ბოლოში, გამოსჭვივის აგრეთვე ერთგვარი შიში (შიში „დამჭკნარი“-დამლნარი და დაკნინებული პარტიის მომავლის წინაშე)—„და **რამდენათ იქნება ქართული ახალი თაობა თანაზმა ჩვენი ქვეყნის თავისუფლების აღდგენისათვის — ბრძოლა და მეთაურობა მიანდოს ისეთ პარტიას, რომლის დამსახურების ფურცელი ჯერ თეთრი და დაუწერელია,** (ხაზი ჩვენია) იწერები თქვენ. მიანდობს თუ არა ქართველი ერი მომავალში ბრძოლას და მეთაურო-

ბას — საქართვ. ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიას, ეს მომავალმა გვაჩვენოს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ქართველმა ერმა თავის მომავალი კვლავ მიანდოს იმ პოლიტიკურ პარტიას, რომლის დროშაც წითელი მარქსისტულია და რომლის სახელითაც 30 წელიწადია, რაც სისხლში აბრჩობენ მას. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ქართველ ერმა კვლავ მისცეს ვინმეს ნება, აწარმოოს მისს სხეულზე ნამდვილი თუ არა ნამდვილი მარქსისტული სოციალიზმის ექსპერიმენტები

ჩვენ არ გვგონია, რომ კოტე აბხაზის, მიხ. ჯავახიშვილის, გიორგი წინამძღვარიშვილის, ვიქტ. ყარანგოზიშვილის და სხვა მრავალი ქართველ მამულიშვილისა, ეროვნულ - დემოკრატების (მათი სახელი ლეგიონია), სისხლი თეთრი იყოს და ქართულ ისტორიის ფურცლებს არ დააჩნდება. ამ „თეთრმა სისხლმა“ ქართველ ერის ეროვნულ ბრძოლის გზაზე წაუშლელი კვალი დასტოვა. ამ კვალს ჩვენც მივყვებით მთელ ქართველ ერთან ერთად იქ მყოფი ჯალათებისა და თქვენის გამოკლებით. აი ჩვენი თაობის მრწამსი, აი ჩვენი „მანტალიტე“.

თქვენის ანგარიშით საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნებში 95%-ს თქვენი პარტიისათვის მიუცია ხმა. ჩვენ გაგვიგონია და გვინახავს კიდეც, რომ ხალხის 95% კი არა 99,9% აძლევდა ხმას ერთ პარტიას და ამ ციფრებს, ჩვენს თავში და გულში ძალიან ცუდი ხსოვნა აქვს დატოვებული.—კარგი იყო ეს ჩვენთვის არ მოგეგონებიათ.

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის
სოციალ ორგანიზაციის დავალებით:
დ. ქიმერიძე, ბ. ჭაჭიაშვილი,
ვ. ემუხვარი, შ. ქურციკიძე.

ოპოზიციონერთა კრება

ქართული ემიგრაციის ეროვნული ცენტრის დაარსებამ დიდი ალიაქოთი გამოიწვა მენშევიკური პარტიის წრეებში. მათ ისევ გამოსძებნეს შინაურ - პოლიტიკური ბრძოლის ძველი გაჟანგული იარაღი — დემაგოგია, პოლიტიკური მოწინააღმდეგის ლანძღვა - გინება და ყალბი ცნობების გავრცელება. პოზიციებ დაკარგულმა და წონასწორობა დაკარგულმა ორდანიას ფრაქციამ, მათი პარტიის „არაქელა“ ოპოზიციას შეაფარა თავი. მათი გაერთიანება ვერ მოხერხდა ეროვნული - პოზიტიული საქმიანობისათვის. დღეს ისინი ერთად ებრძვიან ეროვნული ცენტრის მიერ წამოწყობილ ეროვნულ - პოზიტიურ საქმიანობას. ეს ვარიემოება ამჟღავნებს მენშევიკური პარტიის შინაბუნებასა და ხასიათს.

28 იანვარს შეიკრიბა სოც.-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრაქცია, მათდამი თანაგრძნობით განწყობილ რამოდენიმე პირის თანადასწრებით.

ამ კრებას პატრონობდა და ბატონობდა ცინცაძე - არსენიძის „ოპო-

ზიციონერთა“ წრე, რომელიც ჩვენმა წრემ მოიწვია და ჩაება გაერთიანების საქმიანობაში, წინააღმდეგ ბ. ნ. ჟორდანიასი და მისი ფრაქციის სურვილისა. მათმა უკიდურესმა და განსაკუთრებულმა პოზიციამ მეტად შეუშალა ხელი ეროვნულ ძალთა გაერთიანებას. კომისიაში და თათბირებზედ მათ სრული უხდობლობა გამოუცხადეს ბ. ნ. ჟორდანიასა და მის კოლეგებს. დღეს კი დაარსებული ეროვნული ცენტრის საწინააღმდეგოთ, უკანასკნელებთან ერთად იბრძვიან. ხელი ხელსა ბანს, მაგრამ პირი კი დაუბანელი დარჩება.

საგანგებოდ შერჩეულ კრების წინ გაიმართა დიდი სოც.-დემოკრ. პარტიის ფაფარ-აყრილ თუ ფაფარდაყრილ ჟორდანიას მიერ „ოთხეულებზედ დაჭედილი“ ლიდერებისა. მათ ერთხელ კიდევ გაიმეორეს ტრაფარეტული დემაგოგიური ფრაზები, აღსავსე აია მარტო მათი პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა არამედ ერთი – ერთისადმიც ლანძღვა – შეურაცხყოფით. ერთად – ერთი გონიერი და ზომიერი სიტყვა იყო ბ-ნ გვარჯალაძისა. სჩანს ბ-ნი გვარჯალაძე ხედავს მისი პარტიის მიერ ჩადენილ ტაქტიკურსა და პოლიტიკურ შეცდომებს გაერთიანებისათვის წარმოებულ მუშაობის პროცესში.

კრებაზედ სრულიად შემთხვევით, მიუპატიჟებლად გამოცხადდა ეროვნული ცენტრის რამოდენიმე წევრი, რომლებმაც ამხილეს ბ. ურუშაძის მიერ კრებისადმი მოთხრობილი გამაერთიანებელი კომისიის მუშაობის შესახებ, სინამდვილეს შეუფერებელი ინფორმაცია. კულტურული და პოლიტიკური საზოგადოებისათვის მეტად დამამცირებელი იყო კრების თავმჯდომარე ბ. კალე ქავთარაძის, დემაგოგიური, უხეში და თავდაუჭერელი გამოსვლები. მან კრების რამოდენიმე მონაწილე უმეტესი სიტყვებით გალანძღა. ეს კრება თითქოს საინფორმაციოთ იყო მოწვეული. მისმა მეთაურებმა მოინდომეს საზოგადოებრივი აზრის ამბოხება ეროვნული ცენტრის წინააღმდეგ. ანგარიშში იმით მოსტყუვდნენ, რომ იქ მიწვეული იყო ქართულ საზოგადოების ერთი ნაწილი, სახელდობრ სოც.-დემოკრატიული პარტია და რამოდენიმე მათი თანამგრძნობი, მარქსისტულ სკოლიდან გამოსულნი, რომელთა შორის აღსანიშნავია ბ. კალე სალია, რომელიც დიდ მჭიდრო კავშირშია სოც.-დემოკრ. პარტიის ორივე ფრაქციასთან.

ამ აზრ – ზაურით აღსავსე და ნორმალური კალაპოტიდან ამოვარდნილ კრებაზე სამაგალითო თავმჯდომარემ ბ. კალე ქავთარაძემ წარადგინა ბ. კალე სალიას მიერ შედგენილი რეზოლიუცია ეროვნული ცენტრის საწინააღმდეგოდ. მის წესიერი კენჭის ყრაც ვერ მოახერხეს და თავმჯდომარემ ერთხმად (?) მიღებულად გამოაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი იქ დამსწრეთაგანი ასეთ რეზოლიუციის წინააღმდეგი იყვნენ. როდესაც თავმჯდომარე რეზოლიუციის ერთხმად მიღებულათ აცხადებდა, ალბათ მას მხედველობაში ჰყავდა მხოლოთ შეფიცული მარქსისტები და არა სხვანი.

მათ მიერ შოწვეულ კრებას „ჩვენი დროშა“ „ქართულ საზოგადოების მრავალრიცხოვან კრებად“ აცხადებს და თან დასძენს: ამ კრებამ დაგმო და არ არსებულად გამოაცხადა ეროვნული ცენტრი“-ო. რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც მკითხველი ხედავს, ეს კრება რაღაც ყოველად შემძლე, თვალთმაქცურ ძალით ყოფილა მოსილი: არსებულის გაქრობა შესძლებია. რა იქმნებოდა, რომ არა მარქსისტული ძალები შევკრებილიყავით და მენშევიკური პარტია არ არსებულად გამოგვეცხადებია? ეს იქნებოდა პოლიტიკური კლოუნობა და სინამდვილის უარყოფა. პარიზის ქართული კოლონია სხვა და სხვა მიმართულების სამასამდე ქართველს უყრის თავს და მის უმრავლესობის ნება და სურვილზედ აღმოცუნდა ეროვნული ცენტრი, რომელიც **ემყარება ქართულ პოლიტიკურ პარტიათა და მებრძოლ ორგანიზაციათა სრულს თანხმობას,** სოც.-დემოკრატიული პარტიის გამოკლებით.

ჩვენს მიერ ამავე ნომერში გამოქვეყნებული მასალებიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ ქართული ემიგრაციის აბსოლუტური უმრავლესობა საფრანგეთში და უცხო ქვეყნებში ამ ეროვნულ ცენტრს უჭერს მხარს. და თუ აბსოლუტური გაერთიანება არ მოხდა, მისი პასუხისმგებლობა მთლიანათ ედება იმ პარტიას, რომლის უადგილო პარტიულმა და არა ეროვნულმა მოთხოვნილებებმა აბსოლიუტურ გაერთიანების საქმე ჩაშალა.

ჩვენც ჩვენდა თავად იმედს ვამოვსთქვამთ, რომ პარიზში მყოფი „მემარცხენე“ ემიგრაციის ერთი ნაწილი ჩაუფიქრდება მისი მეთაურების მიერ დაშვებულ შეცდომებს, ადგილი აღარ ექნება ასეთი კრებების მსგავს უშედეგო გამოსვლებს და ეროვნულ ინტერესებით გამსჭვალულნი, შეეცდება არსებულ ეროვნულ ცენტრში მონაწილეობის მიღებას.

ჩვენც ჩვენდა თავად ვიმეორებთ: „დღევანდელი მძიმე პოლიტიკური ვითარება ყველას მოგვიწოდებს შეერთება - შეთანხმებისაკენ.

დამსწრე.

მისალმებანი ეროვნულ ცენტრისადმი

ქართულმა ეროვნულმა ცენტრმა მიიღო საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველებისაგან მრავალი წერილები და დეპეშები, გამხნევებისა და თანაგრძნობის გამომოქმელი. უადგილობის გამო მათთავან მხოლოთ დამოდენიმეს ვაქვეყნებთ.

ქართულ ეროვნულ ცენტრს

მივიღე თქვენი წერილი რომლისთვისაც დიდ მადლობას გიძღვნით. მადლობას გიძღვნით ყურადღებისა და გახსენებისათვის. ამ წერილმა მეტად მასიამოვნა, რადგანაც მან მაუწყა მეტად იშვიათი და ჩვენ ემიგრანტულ ცხორებაში მოულოდნელი ამბავი. დიდი ხანია რაც ჩვენი ემიგრაცია მიზნად ისახავდა ყველა სამშობლოსაგან დაშორებული მამულიშვილების გაერთიანებას, მაგრამ სამწუხაროდ ეს საოცნებო აზრი მიუღწეველი რჩებოდა.

დღეს რადგანაც ეს დიდი ხნის ნანატრი შეთანხმება უკვე აღსრულდა, მე დიდის აღტაცებით ვეგებები ამ ახალ მოვლენას და სულით და

გულით ვუსურვებ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოთ. ყველას აქ გადმოხვეწილ შეგნებულ მამულიშვილებს არასფერი არ უნდა გვამორიდებდეს ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების ბრძოლის ხანაში და ერთად-ერთი ეს მიზანი არსებითათ ყველას უნდა გვაერთიანებდეს.

არასოდეს საქართველოს არ ყოფილა ისეთ განსაცდელში, როგორშიდაც ის ჩაყენებულია ამ ბოლო დროს და ჩვენი სამშვიდობოს მყოფ მამულიშვილების მოვალეობაა მიზან-შეწონილი და ფრთხილი თანამშრომლობით შეუწყოთ ხელი სადაც და როგორც შეგვიძლია მის განსათავისუფლებელ მუშაობას. სამწუხაროდ ჯანმელობა ნებას არ მაძლევს პირადად მოგილოცოთ ეს ღირს მნიშვნელოვანი დღე და ნება მიბოძეთ ამ პატარა წერილის სახით წარმოგიგზავნოთ ის დიადი თანაგრძნობა, რომლითაც შეიძლება აღსავსე იყოს ბავშობიდანვე სამშობლოს დამოუკიდებლობის მოტრფიალე მამულიშვილის გული.

მიიღეთ ჩემი უგულითადესი მოლოცვა ამ ახალ საქმეში და მიგულეთ ყოველთვის., ვიდრე სული მიდგია, თქვენ მუდმივ თანამშრომლად და მოთათბირეთ. რითაც კი შევსძლებ ყოველთვის მზათა ვარ დაგეხმაროთ და გვერდში ამოგიდგეთ.

გაუმარჯოს თქვენს საქმიანობას და ვუსურვოთ მას, როგორც ჩვენ ბვირფას სამშობლოს, წამებულსა და ტანჯულს, ბედნიერი მომავალი რომელიც შეშვენის მის წარსულ სიდიადეს.

დავშთები პატივისცემით თქვენი მარად

ვახტანგ ლამბაშიძე.

(პარიზის კოლონიის ყოფილი თავმჯდომარე).

12 დეკემბერი 1950 წ.
პარიზი.

**
*

მაქვს პატივი მოვახსენო ცენტრს ჩემი გულწრფელი სიხარული იმის გამო, რომ ხანგრძლივი მუშაობა ქართული საქმისათვის პასუხისმგებელ ხელმძღვანელ ორგანოს შექმნის მიზნით დადებითად დასრულდა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყველა საღი ქართული ძალები მხარში ამოუდგებიან ერთიანულ ცენტრს და ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ მას მძიმე მოვალეობათა ღირსეულად განაღდებისათვის.

გისურვებთ მხნეობას და ურყევ სიმტკიცეს.

ალექსანდრე ასათიანი.

მადრიდი.
8 იანვარი 1951.

**
*

ბატონო თავმჯდომარევ!

საერთაშორისო დიდმნიშვნელოვან ამბავთა ტრიალში, ქართული ნაციონალი დაწესებულების შექმნას, რომელიც თავსუფრის მამულიშვილთ, საქართველოს განთავისუფლებისათვის გზათა და საშუალებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამონახვის მიზნით, — დარწმუნებული ვარ, ყოველი ქართველი კმაყოფილებითა და თანაგრძნობით გამოეხმაურება. ეჭვი არ არის, თქვენ — ბრძოლებში გამობრძმედილნი — მჭიდრო თანამშრომლობასა და დახმარებას სიტყვითა, წერილითა და საქმითაც გაუწევთ სახელმწიფოებს, ეგზომი ენერგიითა და თავგამოდებით რომ წინააღუდგნენ საბჭოთა კავშირის ტირანების აღვირასხნილ იმპერიალიზმს.

მიიღეთ ჩემი მდაბალი შომართვაც სრული თანაგრძნობისა და თქვენდამი პატივისცემისა.

იყავნ თქვენი თაოსნობა უფლისაგან კურთხეულ მეოხებითა მოციქულთა სწორისა, ქართველთა განმანათლებელის ნინოსა!

მღვდელი **რაფიელ ინგილო.**

ეროვნულმა ცენტრმა მიიღო მოლოცვისა და თანაგრძნობის წერილები შემდეგ პირებისაგან:

1. ბატონ **გიორგი ყურულისაგან** (ყოფილი ფინანსთა მინისტრი და პარიზის კოლონიის ყოფილი თავმჯდომარე).
2. თავადი **ირაკლი ბაგრატიონისაგან** (მადრიდი).
3. ბატონ **არჩილ მეტრეველისაგან** (მიუნხენი. „საქართველო“-ს რედაქტორი - გამომცემელი)
4. ბატონ **დავით საღირაშვილისაგან** (რომის ქართული კოლონიის გამგეობის მდივანი).
5. თავად **თეიმურაზ ბაგრატიონისაგან** (ამერიკა)

სოშოს ქართველთა კრების რეზოლიუცია

1951 წ. 18 თებერვალს ქ. სოშოში საინიციატივო ჯგუფის მიერ მოწვეულ კრებამ, რომელსაც დაესწრო ამ რაიონში მცხოვრები 22 ქართველი, მოისმინა ერა მოხსენება ბატ. ლუკა გელენიძის — პარიზში დაარსებულ ქართული ეროვნულ პოლიტიკური ცენტრის შესახებ და თანამოხსენება ბ. გრ. აბულაძისა — აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ მიიღო შემდეგი დადგენილება:

ჩვენ ქ. სოშოში და მის ახლო - მახლო მცხოვრები ქართველი ემიგრანტები, რიცხვით ოცი (20) კაცი, რომლებიც შევადგენთ აქაური ქართული კოლონიის დდ უმრავლესობას, (კოლონიაში ირიცხება სულ 26 კაცი), ერთხმად ვესალმებით პარიზში შემდგარ ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ ცენტრს და გვწამს, რომ ის შესძლებს დააყენოს და დაიცვას მსოფლიო სინდისის წინაშე, ჩვენი მრავალ - ტანჯული სამშობლოს თავისუფლების სამართლიანი საკითხი.

გამოვსთქვამთ აგრეთვე იმედს, რომ ხსენებული ცენტრი გახდება ყველა ქართული აქტიური მებრძოლი ძალების გამაერთიანებელი ორგანოთ.

ვუსურვებთ ჩვენ ცენტრს ქართველი ერის სამსახურში ნაყოფიერ მუშაობას.

კრების თავმჯდომარე **ევ. აბულაძე.**
მდივანი **ემუხვარი.**

150 წლის თავი

რუსეთის მიერ საქართველოს თავისუფალი არსებობის გაუქმებიდან 150 წელი სრულდება. ეს დიდი ისტორიული მოვლენა ფრიად დიდმნიშვნელოვანია ჩვენი ერისა და სამშობლოს მატიანეში. დამდგარი 1951 წელი, ამ აქტისა, მისი წარმომშობი მიზეზების და მისგან წარმოშობილი შედეგების შესწავლა - დაფასების ნიშნის ქვეშ უნდა გაატაროს ქართულმა ეროვნულ - პოლიტიკურმა ემიგრაციამ.

„ივერია“-ს რედაქციას განზრახული აქვს იმ ეპოქის მასალების საფუძვლიანად შესწავლა და ამ დიდი ისტორიული აქტისათვის საგანგებო ნომრის მიძღვნა. იმედი გვაქვს, ქართული საზოგადოების დახმარებით შევსძლებთ ამ ჩვენი განზრახვის სინამდვილედ ქცევას.

ქართველ - ამერიკელთა ლიგა

საქ. ერ.- დემოკრ. პარტიის კომიტეტმა მიიღო მოწოდება ნიუ - იორკში დაარსებულ „ქართველ - ამერიკელთა ლიგი“ - საგან. ეკანასკნელის მიზანია, ამერიკული ოფიციალური და საზოგადოებრივი წრეებისადმი, ქართული საკითხის გაცნობა და საქართველოს თავისუფლებისათვის შუშაობა. ლიგის მეთაურ წრეს შეადგენენ:: თავ. თ. ბაგრატიონი, ბბ-ნი: ლ. დუმბაძე, პ. კვარაცხელია, გ. კობახიძე, თავ. ირ. ორბელიანი და ბ. დ. ჩხატარაშვილი. ლიგას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ქართულ საქმეს. მისი საქმიანობის ნაყოფიერებისათვის საჭიროა ლიგამ მჭიდროდ კავშირი დაამყაროს პარიზში დაარსებულ ეროვნულ - პოლიტიკურ ცენტრთან.

„ივერია“ს გამომცემლობისაგან

ჩვენი ორგანო, მის თანამოაზრეთაგან შემოწირულობის წყალობით არსებობს. მატერიალური სახსრის სიმცირის გამო, ის იშვიათად გამოდის. ის მხოლოდ ერის და ქვეყნის თავისუფალ სამსახურშია. მის ფურცლებზედ გამოთქმული სიტყვა და აზრი თავისუფალია და დამოუკიდებელი, ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მიძღვნილი.

ძვირფასნო თანამემამულენო! ნუ მოგვაკლებთ თქვენს დახმარებას და შეგვაძლებინეთ აზროვნების ამ იარაღით საქართველოს თავისუფლებისათვის თავისუფალი და ხანდაუზმელი ბრძოლა.

შემომწირველთა სრული სია „ივერია“-ს შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

საქ. ერ. - დემოკრ. პარტიის კომიტეტი და „ივერია“-ს რედაქცია ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს ბ. დიმ. ჭიაბრიშვილსა და მის მეუღლეს, მათი **პირმშო ოთარის გმირულათ დაღუპვის გამო.**

ააე ღ

დასაბეჭდი მასალები უნდა გადმოიგზავნოს რედაქციის მდივანი ... ...
V. CHOUBLADZE 35, rue du Banquier, Paris (13).

Impr. dé Navarre, 11, rue des Cordellières, Paris.

วิทยาลัยวิชาการ
ศึกษาธิการภาคใต้

0-540